

964
1930



საქართველო

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის
პერიოდული ორგანო.

L'Organe de la démocratie nationale géorgienne «LA PATRIE»

პარიზი, ოქტომბერი 1930 წ.

№ 8

შ ი ნ ა ა რ ს ი :

1. ქაქუცა ჩოლოყაშვილი აღ. ასათიანი
2. ქაიხოსრო-ქაქუცა ჩოლოყაშვილი (ბიოგრაფია) .. **
3. ქაქუცა ჩოლოყაშვილი (სიტყვა) შ. ამირეჯიბი
4. ხალხური ლექსი შინა ხელაშვილი
5. ჩვენს გმირს კალ. ბერიძე
6. ქაქუცა ჩოლოყაშვილის დაკრძალვა **
7. მთავარი შეიხეხები აგვისტოს აჯანყების მარცხისა
სოლ. ზალდასტანიშვილი
8. საქართველოს სინამდვილე ალი
9. ავტომატიური ლენერლის ასალაგმავად რ. გაბაშვილი
10. გაუგონარი და აღმაშფოთებელი ამბავი **
11. ღია წერილი ბ. ლ. კერესელიძეს ვლ. ემუნგარი

საფურცლო

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის
პერიოდული ორგანო.

L'Organe de la démocratie nationale géorgienne «LA PATRIE»

პარიზი. ოქტომბერი, 1930.

№ 8

Paris, Octobre 1930



საქართველოს ეროვნული გმირი
ქაქუცა ჩოლოყაშვილი
1888—1930.

ქაქუცა ჩოლოყაშვილი

გარდაიცვალა ქართველი ერის სასიქადულო შვილი, საქართველოს ეროვნული გმირი, ქაქუცა ჩოლოყაშვილი...

ქართულმა ემიგრაციამ მეტად მწარედ განიცადა ეს დანაკლისი. ძვირფასი ცხედრის ჩამოსვენებამ პარიზში და ემიგრაციაში არ ხილულ დიდებით დაკრძალვამ ნათლად გაამჟღავნა ჩვენი საზოგადოების ერთ-სულადანი მწუხარება. უდავოა, რომ ასეთსავე განცდებს გამოიწვევდა ჩვენი ეროვნული გმირის გარდაცვალების ამბავი იქ, საქართველოში.

ქაქუცა ჩოლოყაშვილმა ექვსი წლის წინეთ დასტოვა სიმშობლო მიწა-წყალი. და ეს წლები საშინელი სიმწარის წლები იყო ჩვენი ერისათვის. ამის გამო ვასაგებია, რომ ერმა კიდევ ხელახლა შეაფასა და გადააფასა ჩვენი თაობის ყველა საქმენი, მოვლენანი, და მათი მეთაური პიროვნებანი. ამათგან ერმა ბევრი დაივიწყა, ბევრი კიდევ შეიძულა, და ზოგს კიდევ შეუმცირა ხსოვნა და ყურადღება. უთუოდ იშვიათია ისეთები, რომელნიც ასცდენ ასეთს ხვედრს. ქაქუცა ჩოლოყაშვილი, ყოველს შემთხვევაში ასეთი იყო. მრავალი უტყუარი საბუთი გვაქვს, და ისიც საქართველოს ყველა კუთხიდან, რომ ამ უმწარეს განცდათა წლების მანძილზედ ქართველი ერის გულში სრულიად არ შემცირებულა ქაქუცა ჩოლოყაშვილას სახელი და მისდამი სიყვარული. წინააღმდეგ ამისა, მძიმე მონობის ულლის ქვეშ მგმინავ ერის გულში კიდევ უფრო იზრდებოდა ხსოვნა და სახელი იმ გმირისა, რომელიც ამ საშინელი ეროვნული და პიროვნული მონობის დამსხვრევებისთვის იბრძოდა და ამ ბრძოლის მეთაური იყო. ქაქუცა ჩოლოყაშვილის სახელს ყველა იმედით და სიყვარულით იგონებდა საქართველოს კიდით-კიდემდე. მის შესახებ ერი ლეგენდებსა და ხალხურ სიმღერებს ჰქმნის. ბავშვებს მის სახელს არქმევენ და მისი სადღენგრძელოც საყოველთაოდ მიღებული იყო ყოველს ქართველ მამულიშვილთა სუფრანედ—ეს იყო უნამო სადღენგრძელო და ყველამ იცოდა თუ ვისი სადღენგრძელო ითქმოდა საიდუმლოდ, თავის გულში, ამ უნამოდ აღებული და უნამოდ წოდებული სასმისით. ქაქუცა ჩოლოყაშვილი გარდაიცვალა და ამიერიდან ასევე უნამო შესანდობარით მოიხსენებს მის სახელს მისი საყვარელი და მისი მოყვარული მშობელი ერი.

ჩვენს ძალზედ დაქსაქსულს საზოგადოებაში ასეთი ერთსულოვნობა ქაქუცა ჩოლოყაშვილისადმი სავსებით გასაგები იქნებო-

და, რომ ის ყოვლიყო დიდი მეცნიერი, ხელოვანი, ან სხვა ასევე ნაკლებად სადაო საქმეთა მეთაური. ის კი იყო მებრძოლი, პოლიტიკური მებრძოლი, სავსებით გარკვეული პროგრამით მოქმედი, თავისი გარკვეული არეს მექონე, რომელიც ყველასთვის მისაღები არ იყო. მას ჰყავდა ამ მოქმედების გზაზე თავისი მომხრენი და მოკავშირენი და აგრეთვე ბევრს რამეში მოწინააღმდეგე და მოპირდაპირენიც. და ასე სხვა და სხვა ჩარჩოებში მომწყვდეულ მოღვაწეთა შორის ქაქუცა ჩოლოყაშვილი იყო ერთად ერთი, რომელსაც ყველა ამ დანაწილებულსა და დაქსაქსულს წრეებში ჰქონდა თავისი დასაყრდნობი და ფეხის მოსადგამი, ზოგან მეტი და ზოგან ნაკლები. საქართველოს განთავისუფლებისათვის მებრძოლ პარტიათა და ჯგუფთა შორის ვერც ერთი ვერ გაიმიჯნებოდა სავსებით ქაქუცა ჩოლოყაშვილისაგან, ვერც ერთი ეს წრე ვერ ჩამოაშორებდა სავსებით თავის მასსას ქაქუცა ჩოლოყაშვილის გავლენას. ეს აიხსნება იმით, რომ ქაქუცა ჩოლოყაშვილი გაიზარდა, გაუსწრო და ასილდა პოლიტიკურ წრეთა იმ გამყოფ კედლებს, რომელნიც სავსებით ჰფარავდენ ყველა დაბალსა და საშუალო ტანის მოღვაწეებს. ქართველი ერის თვალში ის განდო ეროვნულ გმირად და ეს ხარისხი ანიჭებდა მას დიდს ზნეობრივს გავლენას ერის ყველა წრესა და მიმართულებაზედ.

ქაქუცა ჩოლოყაშვილი ამიერიდან ისტორიას ეკუთვნის და მისი მოღვაწეობის ღირსეული დაფასება ფრიად საჭიროა და სასარგებლო. მაგრამ ახლად გათხრილ საფლავთან გრძნობები ბატონობენ და ამის გამო ბევრი რამ მრუდეთ ჩნდება. შეიძლება შემდგომი ხანის დამშვიდებულმა და სივი განებით მოხდენილმა კვლევამ შესვალოს და დაარღვიოს ბევრს რამეში ჩვენი შეხედულება ჩოლოყაშვილის მოღვაწეობის ამა თუ იმ მხარეზედ, მაგრამ როგორც არ უნდა იყოს ისტორიის მსჯავრი ქაქუცა ჩოლოყაშვილის შესახებ, ის უთუოდ გზას ვერ აუხვევს იმ უდავო ჭეშმარიტების აღიარებას, რომ ქაქუცა ჩოლოყაშვილი შვა 1921 წელს დაწყებულმა საქართველოს განმათავისუფლებელმა ბრძოლამ და მანვე მანიჭა მას პირველი ადგილი საქართველოს განმათავისუფლებელ დირაზმულობის მებრძოლთა შორის.

ჩოლოყაშვილის დიდი არსება იმდენად უდავოა, რომ მას უკვე მტრებიც ვერ უარყოფენ. მაგრამ დიდი მოვლენის აღსნა-დაფასების დროს არ არის ძნელი მისი შეკვეცა და შემსიარება. ზოგნი მის არსებას ზღუდავენ შეფიქსულთა იმ მსირე ჯგუფის ბელადობით, რომელიც მას უსწოეთში გამოჰყვა. დიდი გმირი, დიდი ვაჟკაცი, ამ მსირე ჯგუფის მეთაურიო... ასეთს დაფასებას აძლევენ მის პიროვნებას არა მარტო მტერნი, არამედ ხშირად უანგარიშო მეგობრებიც. ჩოლოყაშვილის ნამდვილი სიდიდე აქ არ არის. ის იყო თავიდანვე წვერი იმ თაოსნობის, რომელმაც დიდი ეროვნული დარაზმულობის შექმნა დაიწყო უკვე საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის პირველსავე თვეში. ამ

3075



დიდი საქმის შემზადებას თავისი ეჭაპები ჰქონდა—მარტი ბათუმში, მანისი თბილისში. შემდეგ მოდის თვით ბრძოლათა ეტაპები: სვანეთის აჯანყება, ოცდა ორი წლის გაზაფხულიდან კახეთ-მთიულეთში აქტიური ბრძოლის დაწყება, რომელიც ივლის-აგვისტოში დიდს აჯანყებად გადაიქცა, ამის შემდეგ კიდევ ორი წლის ინტენსიური მუშაობა საქართველოსა და კავკასიის სხვა ქვეყნებში და ბოლოს 1924 წლის აგვისტოს აჯანყება. ამ დიდს დარაზმულობას ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიამ ჩაუყარა საფუძველი და ის ბოლომდე მისი ფაქტიური ხელმძღვანელობით სწარმოებდა. სამხედრო კავშირები წარმოადგენდა ამ დარაზმულობის საიდუმლო მუდმივს ჯარს. პირველი ორი აჯანყება სავსებით ამ წრეებით იყო შემოფარგლული. ხოლო უკანასკნელს, აგვისტოს აჯანყებაში უკვე ყველა სხვა მიმართულებათა აქტიური ძალებიც იყვნენ ჩაბმულნი.

ქაქუცა ჩოლოყაშვილი იყო ყველა ამ საქმეების მონაწილე თავიდანვე და ბოლოს ის გახდა ამ დიდი დარაზმულობის ყველაზედ უფრო თვალსაჩინო მოვლენა, მრავალ პირობათა მეოხებით და უწინარეს ყოვლისა პირად თვისებათა შემწეობით. ეს არის სიმართლე, რომელიც კიდევ უფრო ადიდებს და ზრდის მის პიროვნებას ზოგიერთების ცალმხრივ დაფასებასთან შედარებით.

საშინელს პირობებში აღმოცენებულსა და განვითარებულ მებრძოლ ეროვნულ დარაზმულობის მოქმედებასთან შეთანხმება და შეგუება საკუთარი მუშაობისა ადვილი არ იყო ქაქუცა ჩოლოყაშვილისათვის. მით უმეტეს, როდესაც შემდეგში ამ დარაზმულობაში ახალი პარტიები და ჯგუფები შევიდნენ. ჩოლოყაშვილის წინადადებები და გეგმები, მრავალს შემთხვევაში სავსებით მიზანშეწონილი და სწორი, ხშირად არ ტარდებოდა. მაგრამ ქაქუცა ჩოლოყაშვილი ბოლომდე ამ საერთო ბრძოლის გეზს მისდევდა და მას არ სცილდებოდა. მას კარგათ ჰქონდა შეგნებული, რომ ერთის გმირობა და მცირე ჯგუფის ვაჟკაცობა არ იყო საკმარისი დიდი ეროვნული ამბანების მიღწევისათვის. ამ დიდს საქმეში ის იყო არა მარტო თავგანწირული მებრძოლი, არამედ მეტად ფრთხილი—თავშეკავებული და მოქნილი პოლიტიკოსიც. მისი ხასიათის ეს მეორე მხარე არა ნაკლებად დაფასდება ამ ბრძოლათა ისტორიაში, ვიდრე მისი გმირობა და თავგანწირვა.

ასეთი გეზის აღებისათვის და მისი მუდმივად დაცვისათვის დიდი ვიწრობივი გამჭრიახობა და ხასიათის სიმტკიცე იყო საპირო. 1921 წლის საქართველოს დაპყრობამ წააქცია საქართველოს დამოუკიდებლობასთან ერთად ის პოლიტიკური წყობილება, რომელიც ანტისახელმწიფოებრივი და ანტიეროვნული სულით იყო გამსუვალული. ახალი დარაზმულობა მთელი ამ სისტემის მოწინააღმდეგე წრეების მიერ იყო შექმნილი და გასაგებია. რომ ამ წრეებში მრავალი იყო ისეთი განცდა და სულისკვეთება, რომელიც დამსხვრეული პოლიტიკის მიერ

ამ წრეთადმი უსამართლო და ბოროტი მოქცევისაგან გამოწვეული გრძობებით იყო შეფერილი. ასეთს გამწვავებულ განცდათა შებორკვა, განზომიერება არ იყო ადვილი საქმე. ბოლშევიკები კარგად ხედავდნენ, რომ ამ გრძობათა გაღვივება და ახალი დარაზმულობისათვის ხალხის თვალში ვიწრო ჯგუფური ინტერესებით გამოწვეულ საქმედ მონათვლა ფრიად სასარგებლო იყო მისი ზნეობრივი გავლენის შესუსტებისათვის ქართველს ერზედ, და ისინიც ამ ბრძოლას კონტრრევოლუციად და მემამულეთა რეაქციად ნათლავდნენ. სამწუხაროდ ასეთს ანკესს ზოგიერთი მენშევიკური წრეების წამოეგენ და ქაქუსა ჩოლოყაშვილის მიერ დაწყებულს ბრძოლას პირველს ხანებში მა.ე.ა. ასეთი დაფასება მისცეს. ქაქუსა ჩოლოყაშვილმა მოწოდებით მიმართა ქართველ ერს 1922 წლის აგვისტოში, სადაც ის სწერდა, რომ მიწები მეპატრონეებს ჩამოერთვა ჯერ კიდევ მენშევიკური წყობილების დროს და ამის გამო იარაღი ხელში არავის აუღია. ჩვენ მზადა ვართ გადავსცეთ ქართველს ერს ის მსირეც, რაც დაგვრჩა, უკეთუ ამას ქვეყნის საქირთება მოითხოვს. ხოლო ჩვენი ენლანდელი ბრძოლა ისახავს მიზნად არა მიწების დაბრუნებას, არამედ საქართველოს დამოუკიდებლობის დაბრუნებას და ეს ბრძოლა გაგრძელდება, სახამ ეს მიზანი არ იქნება მიღწეული. ასე განმარტა ქაქუსა ჩოლოყაშვილმა თავისი მოქმედების მიზანი და გეგმა.

ქართველს ერს დიდი სამხედრო წარსული აქვს და მასში გმირობა უფრო ხშირი მოვლენაა, ვიდრე თანამედროვე პოლიტიკის პირობათა შეგნება და შეთვისება. ქაქუსა ჩოლოყაშვილის ეს თვისებებიც აღმოაჩნდა უხვად და ამან გახადა ის არა მარტო გმირად, არამედ ეროვნულ გმირად.

ეს ეროვნული დარაზმულობა ფრიად დიდს მოვლენად მიიჩნევა ჩვენი ერის მდიდარს მატრიანეში. როდესაც დაიწერება მისი ისტორია, ყველა დაინახავს რამდენი, მომავალ თაობათათვის საამაყო საქმეები წარმოშვა მან და რა ზომ დიდი პიროვნებები იყვენ ქაქუსა ჩოლოყაშვილის ბეგერი თანამებრძოლნი. ჩოლოყაშვილის უახლოეს წრის თავდადებულთა ერთი ნაწილის მოხსენებას საკმარისად გაამჟღავნებს ამ დიდი დარაზმულობის ხასიათს: კონსტ. აფხაზი, გ. წინამძღვარიშვილი, გენ. ანდრონიკაშვილი, წულუკიძე, გარდაფხაძე, კოლონ მუსხელიშვილი, მახარაძე, გულისაშვილი და მრავალი სხვა, კათალიკოსი ამბროსი, მიტროპოლიტი ნაზარი და სხვა და სხვა.

შეთქმულობათა გახსნისა და შემდეგ პარიტეტულ კომიტეტის გასამართლების მასალებიც საკმაოდ აღბეჭდავენ ამ დიდს მებრძოლთა იშვიათ საქმეებს. კათალიკოს ამბროსის შეუდრეკელი ბრძოლა, წითელი არმიის შტაბის უფროსის და იმავე დროს აჯანყებულ ძალთა შტაბის უფროსის მუსხელიშვილის თავგადასავალი, გენ. გარდაფხაძე სვანეთის აჯანყების ფაქტიური ხელმძღვანელი და იმავე დროს თვით

საბჭოების დავალებით აჯანყებულებთან ზავის ჩამომგდები, და ყველა ამ გმირთა ლეგენდარული სიმტკიცე სიკვდილის წინაშე ღირსეული მასალაა შექპირის ზომის მწერალთა კალმისათვის.

მაგრამ ამ გმირთა შორის უდავოდ პირველი ადგილი ქაქუცა ჩოლოყაშვილმა დაიკავა. შესაძლებელია მათ შორის სხვებიც იყვენ აღჭურვილნი მისებრ დიდი ღირსებებით, მაგრამ, როდესაც დრო დადგა და ჩვენი თაობისათვის ახალი, მაგრამ საქართველოსათვის ქველის-ძველი—განმათავისუფლებელი ბრძოლის ცეცხლი გაღვივდა, განგებას ქაქუცა ჩოლოყაშვილი ჰყავდა მის ბელადთა არჩეული და დანიშნული. ზოგს ეოცა ეს და ზოგს არც იამა, მაგრამ ბედის ამ კარნახს ვერვინ შეებრძოლა.

1921 წლამდე ქაქუცა ჩოლოყაშვილი იყო კარგი ქართველი და საიმედო ვაჟკაცი, მაგრამ ასეთები, ღვთის მადლით მუდამ მრავლათ იყვენ საქართველოში. ამა წლის გაზაფხულიდან ის აედევნა თავის ახალი დანიშნულების გეზს, ვით კარგი მონადირე ნადირის კვალს. და ის არ მოსცილდა ამ ბილიკს, სანამ მან ჩოლოყაშვილი დიდი ეროვნული ბრძოლის ასპარეზზედ არ გაიყვანა. 1921 წლის ზამთარს ის სვანეთში დაწყებულ აჯანყების მიშველებას და მეთაურობას ჰფიქრობს და იმავე დროს კახეთ-მთიულეთში ნაწარმოებ მუშაობის მეთაურობის განგრძობასაც, უკვე საკმაოდ გაწვრთნილ თანამებრძოლთა შემწეობით. 1922 წლის გაზაფხულზედ ის უკვე ხმაღს იღებს ქარქაშიდან და საუკუთნეთა ბრძოლაში მრავალჯერ დამარცხებულ, მაგრამ არასოდეს დამორჩილებულ საქართველოს სახელით ბუმბერაზ მტერს უპირდაპირდება. სიღნაღის, თელავის, დუშეთის და თიანეთის მაზრებია მისი ბრძოლების ასპარეზი. მაგრამ ეხლა მის ლაშქარს მარტო მისი შეფიცულები არ შეადგენენ. საქართველოს შეფიცულთა ლაშქარის წესდება მას გაეგზავნა მელნიით დაწერილი და ეს წესდება მან სისხლის ასოებით გადასწერა. მაგრამ როდესაც მან ახალი ბრძოლა დაიწყო, უკვე მთელი საქართველოს მანძილზედ კიდით-კიდემდე, ყოველს კუთხეში შეკრული იყო საიმედო მებრძოლთა ძალები იმ პარტიის მიერ, რომელთანაც ერთად მან დაიწყო ეს ახალი ეროვნული დარაზმულობის შექმნა.

საქართველოში შემოჭრილი საბჭოთა რუსეთი ჯერ კიდევ არ იყო ფეხმომდგარი ქალაქებს გარედ. შეთქმულობის ძალები მტკიცედ არიან დარაზმულნი და მთელი ერი აღჯნებული და აღფრთოვანებული სვანეთის აჯანყების გახანგრძლივებით და ამ აჯანყების ფაქტიური გამარჯვებით.

თიბათვე-ავვისტოში ჩოლოყაშვილის წინააღმდეგ საბჭოებს ნამდვილი ომი აქვთ დაწყებული მთელი კავკასიის სივრციდან შემოკრებილ საუკეთესო ძალებით. მაგრამ ანგარიში არას ამბობს მათს სასარგებლოდ. სამხედრო ცენტრი, ისეთი ფრთხილი მხედრების სა-

ხით, როგორც იყვენ გენ. ანდრონიკაშვილი, კ. აფხაზი, წულუკიძე და სხ. კატეგორიულად ადგენს—საერთო აჯანყება და ბრძოლა კავკასიის მასშტაბით. და ეს გეგმა რომ შესრულებულაყო, ჩოლოყაშვილის კანთე-მითუღეთის ძალებს კათალიკოსი ამბროსი გამოუძღვებოდა ჯვართ ხელში, უკვე ამ მისიის შესასრულებლად კანთეში გამგზავრებული.

მაგრამ განგებამ ეს საქმე სხვაფერ გადაწვევითა. ბრძოლა შეწყვეტილ იქმნა და ჩოლოყაშვილმა ეს უკანდახევაც ისევე ბრწყინვალეთ ჩაატარა, როგორც წინეთ ყველა შეტევები.

ამის შემდეგ კიდევ ორი წელი ბრძოლებისა და შეტაკებების, მრავალჯერ გადალახვა ქართლ-კანეთისა და თვით შორეულ ჩრდილო-კავკასიის მთა და ველისა. ეს სახელოვანი ეპოპეა 1924 წლის აჯანყებით დასრულდა. მტერი დიდათ გაძლიერებული იყო უკვე ამ ხანად და მებრძოლი საქართველო დიდათ შევიწროებული მრავალ საიმედო ძალთა დაღუპვით, მუდმივი და მასიური რეპრესიებით და მრავალი სხვა მარცხებით.

აჯანყება დამარცხდა და ქაქუცა ჩოლოყაშვილმა თავის რაზმით სამშობლო მიწა-წყალი დასტოვა. ეს აუცილებლად იქმნა მიჩნეული, ვინაიდან უამისოდაც დიდი მსხვერპლის კიდევ უფრო გამრავლება იყო მოსალოდნელი. ამით დასრულდა ქაქუცა ჩოლოყაშვილის სახელოვანი ბრძოლის ხანა და დაიწყო უცხოეთში მისი სულიერი და სხეულეზრივი სასოწარკვეთილი ტანჯვა. მისი მებრძოლი სული ვერ ეგუება ბრძოლის ასპარეზის დაშორებას, სამშობლო მიწა-წყლის მიტოვებას და ის მუდამ იქით იწვევს, ხოლო მძიმე ჭრილობით და ოთხი წლის საშინელ პირობებში ყოფნით დასნეულებული მისი სხეული ვერ უმკლავდება ცხოვრების ახალს და მუდმივად ცუდს პირობებს. მე და ჩემი სენი ხელჩართული ვიბრძვით, ხან ის მძლევს და ხან კიდევ მეა—იწერებოდა ის თავის ცხოვრების უკანასკნელს თვეებში. და ეს ბრძოლა ქაქუცა ჩოლოყაშვილის დამარცხებით დასრულდა. მან დროებით საფრანგეთის მიწას შეაფარა თავი და უკანასკნელი სათხოვარი დაგვიტოვა ემიგრაციას და მთელს ერს, რომ მისი ძელები სამშობლო მიწას მივაბაროთ... ასე დასრულდა ამ დიდი ქართველის დიდი საქმე და დიდი ტანჯვა.

დაუვიწყარი და საამაყო იქნება ქართველს ერში სახელი მისი უკუნითი უკუნისამდე.

ალ. ასათიანი.

ქაიხოსრო-ქაქუცა ჩოლოყაშვილი

1888—1930 წწ.

ქაიხოსრო ჩოლოყაშვილი ეკუთვნოდა საქართველოს ისტორიაში დიდად მნიშვნელოვან როლს, რომელმაც მრავალი ღვაწლი დასდო სამშობლოს.

დაიბადა მამაკაპულ სოფ. მატანში, 14 ივლისს, 1888 წ. და იყო შვილი თავადის იოსებ და დარია ჩოლოყაშვილების. სწავლა მიიღო ტფილისის სათავადაზნაურო ქართულ გიმნაზიაში. ოცდაერთის წლისა რუსულ ჯარში იქმნა გაწვეული, სამხედრო ბეგარის მოსახდელათ და მსახურებდა ტვერის დრაგუნთა პოლკში, საიდანაც დაბრუნდა სახლში ოფიცრის ხარისხით. 1913 წელს შეირთო ილია მედენინოვსკისის შვილის ერთად ერთი ასული ნინო და დაბინავდა მამულში. 1914 წლის დიდი ომის ატეხის დროს, როგორც ოფიცერი ისევე ჯარში იქმნა გაწვეული და მთელი ომი ბრძოლის ველზე გაატარა. 1914 წელს დაპირდა იქმნა ავსტრიის ფრონტზე და გადაყვანილი კავკასიის ფრონტზედ. როგორც დაპირილი ის უფროსობდა ზურგის ჯარის ასეულს და ამ დროს დაიწყო ოსმალეთის ჯარის იერიშები საჩიყამიშზედ. რუსის ჯარი მოტა იყო და ოსმალები აშკარად სპარბობდნენ. მათ უკვე შემოუარეს რუსებს ზურგიდან და ამ დროს იღეს იგი ბრძანებას, თავის მუშა-ჯარისკაცებს თოფები დაიურივოს და ფრიად სტრატეგიული მნიშვნელობის «არწივის ბუდის» მთა ოსმალებისაგან უკან დაიბრუნოს. ჩოლოყაშვილმა ეს ბრძანება ბრწყინვალედ შეასრულა და «არწივის ბუდე» დაიბრუნა. ოსმალებმა ისევ განაახლეს «არწივის ბუდის» იერიშები, ჩოლოყაშვილი ფეხში დაიჭრა. მას წინადადება აძლევდნენ უმფროსობა სხვას გადასცეს და თითონ ლაზარეთში წავიდეს. იგი თავის პოზიციას რჩება და ისევ იღებს პრილობას, მაგრამ ამ ხელად მკერდში და ფრიად მძიმეს, მაგრამ «არწივის ბუდე» მას რჩება.

მძიმედ დაპირილი ჩოლოყაშვილი თავს წმ. ნინოს ქართულ საავადმყოფოში ირჩენს და როდესაც ქართული ცხენოსანი რაზმი არსდება ერთი პირველთაგანი შედის მასში. ამიერიდან იგი სპარსეთის ფრონტზედ არის. აქ მან შეასრულა თავისი შესანიშნავი რეიდი. თავისი ასეულით მან გაიარა მესოპოტამიის უდაბნო და ინგლისელებს შეუერთდა.

დადგა საქართველოს დამოუკიდებლობის ხანა. ის უკვე ქართულ ჯარებში მსახურებს და ამ ხნიდან, როგორც ერთი შესანიშნავი ოფიცერთაგანი, მონაწილეა ყველა იმ ომებისა და სამხედრო საქმეების, რომელიც დამოუკიდებელ საქართველოს ჰქონდა.

1921 წელს, ერთნაირი კატასტროფის დროს, როდესაც რუსეთის წითელმა ლაშქარმა საქართველო დაიკავა, ის საქართველოში რჩება.

მის თავში იბუდებს საქართველოს განთავისუფლებისა და მტერთან იარაღით შებმის აზრი. ამის მზადებას, პირველი მებრძოლი ჯგუფის

შედგენას და იმ პირობებში ამ მეტად ძნელი საქმის მოწყობას მთელ წელიწადს ანდომებს. ამ დროს საქართველოში მძაფრი ტერორი მძვინვარებს. იუკრენ ყველას და განსაკუთრებით სამხედრო პირებს. ჩოლოყაშვილი პირველთაგანი სწვრია დასაქურ პირთა სიაში. დაგვიანება აღარ იქნებოდა და 1922 წლის მარტის 12-ს თავისი «საქართველოს შეფიქსელებით» ჩოლოყაშვილი ტყვეში გადის.

ეს ნიშნავდა ბოლშევიკურ რუსეთთან ომის გამოსხადებას. მალე იმავე წლის ივნისში, ქ. სიღნაღთან, ბოლშევიკების ძალებთან პირველი დიდი შეტაკებამ მოუხდა და დაიწყო ის გმირული ეროვნული ბრძოლა, რომლის დროსა ჩოლოყაშვილი იყო.

ამ დღიდან ქართველი ერის გულის-ყური მისი მამულიშვილური ზრახვა, ქაქუცა ჩოლოყაშვილთან, მის გმირულ რაზმთან და იმ სხვა რაზმების მოქმედებასთან იყო გადაბმული, რომლებიც მისი გასვლის შემდეგ საქართველოს სხვა კუთხეში გაჩნდა. ვისაც მამულისათვის გული უსემდა და ბრძოლისათვის მკლავი უჭრიდა—ქაქუცასაკენ იწვედა. მაგრამ პარტინანული ბრძოლის სისტემა ნებას არ იძლეოდა, რომ ჩოლოყაშვილის დიდი რაზმი ჰყოლოდა, ან ყველა ეს რაზმები ერთად ჰყოლოდა. ბრძოლისათვის მნიშვნელობა ჰქონდა არა მარტო მებრძოლ რაზმში ყოფნას, არამედ კარგად მოწყობილ კავშირს, სურსათისა და იარაღის მიწოდებას, საიმედო ბინების ქონას, პოლიტიკურ პარტიებთან ურთიერთობას და საზოგადოთ ხალხის დახმარებას. ხალხის სიმრავლე—აქ სკიროდა ამ ძნელსა და რთულ სმქმეს და ბრძოლის მსურველთა ამ უამრავობამაც აი, ეს ფუნქციები დაინაწილა, შეიქმნა და გაიზარდა ქვემარტივად ის დიდი კავშირი ბრძოლისა, რომლის სიმტკიცე თვით ხალხის წიაღში იყო.

ეს ორგანიზაცია რომ მართლა ხალხური და მართლა ძლიერი იყო, «ხევსურეთის აჯანყების» დროს გამოჩნდა, რომელიც 1922 წელს, თითქმის მთელ საქართველოს აჯანყებდა არ იქნა. რუსის წითელმა ჯარებმა ხევსურეთი გადასწვეს, მაგრამ ჩოლოყაშვილი და მისი რაზმი ვერ მოსპეს.

შეიქმნა ისეთი ვითარება, რომა ჩოლოყაშვილს დროებით უნდა შეენელებინა თავისი მოქმედება. ამითი ისარგებლა მან და ჩაჩანში გადავიდა, რათა ჩრდილოეთ კავკასიის მთიელებთან კავშირი გაეხა. იმავე წლის ღვინობისთვის საქართველოში დაბრუნდა და ბოლშევიკებმაც განაახლეს მისი ღვენა.

ერთი შეტაკების დროს მოკლულ იქმნა მისი ძმა სვიმონი-სიკო, რომელიც გასვლისთანავე მის რაზმში იმყოფებოდა. ქაქუცამ ძმა ტყვეში დამარხა და ბრძოლა განაგრძო. კიდევ სხვა შეტაკების გამო, რომლის დროს ბოლშევიკების მღევარი სასტიკად დაამარცხა, დატუსაღებულ იქმნა მისი მეუღლე და ორი მისი პატარა ასული. გაშმაგებულ ბოლშევიკები მისი ასულის სოცხლად დამარხვას მოითხოვდნენ,

ეს აღარ მოხდა, მაგრამ სამაგიეროდ დაატუსაღეს ჩოლოყაშვილის დედა, სიდდერი და სიმამრი. უკანასკნელი 1624 წლის აჯანყების დროს დახვრიტეს კიდევ.

1923 წლის ქრისტეშობისთვის ჩოლოყაშვილი თავისი ორი შვილი-სულით თფილისში გაჩნდა. ეს იყო ყველაზე თამამი მისი საქციელი. ეს ჩამოსვლა გამოწვეული იყო დამოუკიდებლობის კომიტეტთან პირისპირ მოსალაპარაკებლად და აჯანყების საერთო გეგმის შესამუშავებლად. რა იცოდა ბოლშევიკურმა ჩეკამ, რომ ის ვისაც იგი კიდით-კიდემდე ეძებდა, ერთი კვირა ტფილისში სსხოვრობდა და ახალის გეგმით და ახალის ენერგიით ტფილისიდან მშვიდობით გავიდა.

დადგა ბოლოს 1924 წელიც. ჩოლოყაშვილი მანვლისის მიდამოებში დაბანაკდა და ტფილისთან გამუდმებული კავშირი ჰქონდა. 24 აგვისტოს «საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი» და გენერალი ჭავჭავაძე ტფილისიდან ჩოლოყაშვილის ბანაკში გავიდნენ.

28 აგვისტოს, ბედენის მთაზედ, «საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის» თავმჯდომარემ, კ. ანდრონიკაშვილმა ქაიხოსრო-ქაქუცა ჩოლოყაშვილს აჯანყების დროშა გადასცა და ლამით დაიწყო აგვისტოს გმირული და სახელოვანი აჯანყება, რომელმაც ახალი ფურცელი შეიტანა ქართველი ერის ისტორიაში.

ეს აჯანყება დამარცხდა, ჩოლოყაშვილმა და მისმა რაზმებმა საქართველო დასტოვეს. აღარ არის დღეს თვით ჩოლოყაშვილიც, მაგრამ დროშა, რომელიც შას ეჭირა, ისევ ფრიალებს; ხმალი, რომელსაც ის იქნევდა, ისევ ელავს. მისი სახელი სამუდამოთ გადაბმულია ქართველი ერის ბრძოლის ისტორიასთან დამოუკიდებლობისათვის და ამ ისტორიაში ის შევა როგორც მისი ბრწყინვალე ეროვნული გმირი!

მ. ამირეჯიბის სიტყვა

დღეს ჩვენა ვმარხავთ ადამიანს, რომელმაც დიდი ღვაწლი დასდო მამულს. ამიტომ, სამუდამო გამოთხოვების დროს, მკვალენი ვართ ვსთქვათ რა იყო, რა არის და რა დარჩა სამარადისოთ მის უდიდეს ღვაწლად.

როცა 1921 წელს საქართველოს დიდი ეროვნული კატასტროფა ეწვია, როდესაც საქართველოს მთავრობა იძულებული იყო თავის ტერიტორია დაეტოვებინა, როდესაც დაშლილ იქნა ქართული ჯარი და დამფუძნებელი კრება გარეკილი, როდესაც დევნილ იქნენ იმისი პოლიტიკური პარტიები, ხოლო ეროვნული და საზოგადო დაწესებულებანი მოსპობილი, როდესაც მტერმა აღკვეთა საზოგადოებრივი სხოვრება, ხოლო საზოგადოებრივი აზრის გამოთქმის უფლება სავსებით აღკრძალა

ერთგული საქართველო ბოლშევიზმისაგან და ამით უნდა აიხსნას, რომ იმისი ბრძოლის კავშირი იყო არა მარტო ერთგული, არამედ ხალხის-ნურიც.

იმ პოლიტიკურ ვითარებაში, რომელშიც საქართველო იყო, იმ საერთო და გამანადგურებელ ტერორის დროს, რომელსაც ბოლშევიზმი ეწოდება და იმ საზოგადოებრივ მოსპობილობაში, რომელშიაც, ყველაზედ ადრე, ბოძოლის ძველმა მეთოდებმა დაჰკარგეს თავისი ნიადაგი, აქტიური ბრძოლის ერთადერთ სახედ ის მეთოდი იქცა, რომელსაც ჩოლოყაშვილი დაადგა. ამ გარემოებამ ჩოლოყაშვილი ბრძოლის ყველა ამბების შუაგულში ჩააყენა, მის სახელთან იყო დაკავშირებული 1922 წლის აჯანყება და მის მოქმედებასთან უნდა ყოფილიყო გადამბული 1924 წლის აგვისტოს აჯანყების გეგმებიც. და ყოველივე ეს იმ დიდ მნიშვნელობაზედ გვითითებს, რომელიც ჰქონდა ჩოლოყაშვილს მთელ ამ ბრძოლის ისტორიაში.

ამ ხალხურ კავშირში და იმ ბრძოლაში, რომელიც მან შეჰქმნა და აწარმოვა—ის იყო ნამდვილი მეთაური მებრძოლი ქართველების, უდრეკი და მტკიცე მიმყალი თავისი მიზნისა, ღირსი და საყვარელი გმირი თავისი ხალხისა! ამ ბრძოლაში ბევრი სისხლი დაიღვარა. მოვიხადოთ თავი მათთვის, ვინც საქართველოსათვის აღესრულა! მაგრამ ამ მწუხარე წუთს ჩვენ არ შეგვიძლია, განსაკუთრებით ჩოლოყაშვილის გმირული ოჯახიც არ მოვიგონოთ. ამ ბრძოლაში მას მოუკლეს ძმა, მაგრამ ძმა ტყვეში დაფლა და ბრძოლა განაგრძო. მისი მსზოვანი დედა მტერს პატიმრად ჰყავდა. პატიმრად ჰყავდათ და მძევლად—მისი მეუღლე და მისი ორი ასული, და დასასრულს, პატიმრად ჰყავდათ მასი სიდედრი და სიმამრი, რომელთაგან უკანასკნელი აგვისტოს აჯანყების დღეებში იყო დახვრეტილი. და, აი, დღეს აღარც თითონ არის სოცხალი!

მაგრამ ნუ ვიტყვი, რომ ის მოკვდა სამშობლოს გარეშე და კაცურის ავადმყოფობით. ჩვენ დღეს უნდა ვსთქვათ, რომ ის აქაც იმავე სიკვდილით მოკვდა, რა სიკვდილითაც იქ, საქართველოში, მრავალი ხალხი დაეცა. ეს სიკვდილი სამშობლოსათვის სამსახურია! მათი რიცხვი მრავალია! მაგრამ ეს უამრავი რიცხვი სამშობლოსათვის წამებულთა პირველობას დღეს ქაიხოსრო ჩოლოყაშვილს დაუთმობს, ხოლო სოცხლები ერთხმად იტყვიან, რომ ჩოლოყაშვილი იყო ის შარავანდედ მოსილი ქართველი, რომელმაც ჩვენი დროის საქართველო ყველაზე მეტად ასახელა!

ერთგულ-დემოკრატიული პარტიის სახელით, იმ პარტიისა, რომელიც მთელი ამ ბრძოლის განმავლობაში მისი მაღალი მოწოდების ერთ-სული და ერთ-გული თანამოსაგრე იყო, მე ვეუბნები მას საუკუნო მშვიდობით!

—ჯერი მიდგა პიროვნებაზედ, რომელიც ისეთ მიმე პირობებში, ერის მისწრაფებას და მის იდეალს საჯარო მოქმედებით გამოხატავდა.

ეს მისწრაფება არის საქართველოს დამოუკიდებლობა და ეს პირი იყო თავადი ქაიხოსრო ჩოლოყაშვილი!

მაგრამ რა უნდა ექმნა ერთ კაცს და ისიც ყველას დასაზნაზნად, იქ და ისეთ დროს, სადაც ყველაფერი აღკრძალული იყო? რომელია ის სიტყვა, რომელია ის საქციელი, რომელიც ერს მოუწოდებდა, მას მიიმხროდა და საბრძოლველად დარაზნავდა?

დამოუკიდებელ საქართველოში გაბატონებული იყო ის შეხედულობა, რომ ერი რომ დამოუკიდებლობისათვის აბრძოლო ბევრი მიწა და ბევრი უფლება მისცე! ეს იყო მემარცხენე შეხედულება. დღეს, ემიგრაციაში ფიქრობენ, რომ ქართველ ერს ის მიიმხრობს, ვინც აქედანვე თავის თავს დიქტატორად გამოაცხადებს და ასე მემარჯვენე წრეები ფიქრობენ. ჩოლოყაშვილი არაფერს დაჰპირებია ხალხს და ხალხი მანაც გაჰყვა. მან სთქვა: თავისუფლება ბრძოლით მოიპოვება! ვისაც დამოუკიდებლობა გინდათ—მომყევითო! და ამ გარემოებამ ნათელ ჰყო ის მთავარი დებულება, მანამდე მიჩქმალული, მაგრამ რის გამოძქლავნებას ქართველი ერი თვითსწრაფებისათვის ასე საზირო იყო—რომ ქართველ ერს თავისი ქვეყნის დამოუკიდებლობა უანგართ უნდა, გარეშე ყოველი რეჟიმული თეორიისა, საზოგადოებრივი დოქტრინების, პარტიული ჭირვეულობის, მიუხედავად ყველა დაბრკოლებისა, წინააღმდეგ ყველა მოწინააღმდეგისა! და ეს გარემოება ნათელი გახადა ჩვენთვის არა პოლიტიკის კაცმა, არამედ ხმლის კაცმა, რომელიც საქმეს საღი ისტორიული ალღოთი მიუდგა.

მაგრამ საქართველო დაამხო არა მარტო გარეშე ძალის ზარბაზნმა და ხიშტმა, არამედ ქადაგებამაც, რომელიც თავის თავს ხალხურს უწოდებდა და ქართველ ერს „ქართული“ რეგალიებით მოველინა. ბრძოლა ისეთ გარეშე ძალასთან და ისეთ ბოლშევიზმთან, რომელაც ჩვენში „საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის“, საქართველოს საბჭოთა მთავრობის“, „საქართველოს წითელი ლაშქრის“, „საქართველოს ჩეკისა“ და სხვა ამგვარი სახელწოდებით შემოვიდა, არც ისე ადვილი საქმე იყო! ბოლშევიზმი ჰყვიროდა: დიახ, მე ბოლშევიზმი ვარ. მაგრამ მე ქართველი ბოლშევიზმი ვარო! რა ხერხი უნდა გამოენახა ჩოლოყაშვილს, რომ მისი ბრძოლა ხალხისათვის გასაგები, მისაღები და თანაც უფრო ქართული ყოფილიყო?

და, აი, როგორც ძველ რომში უკმაყოფილო მოქალაქენი ავენტი-ნის ბორცვზედ მიდიოდნენ და იქიდგან უგზავნიდნენ სენატს თავის მოთხოვნილებას, ჩოლოყაშვილი ტყეში წავიდა და იქიდგან იწყო ბრძოლა. ეს იყო არა იმდენად ძველი რომის ჩვეულების გადმოღება, როგორც ჩვენი საკუთარი ქართული ისტორიის გასაცხლება! აი ამ გარემოებამ გახადა ჩოლოყაშვილი გასაგები და მისაღები ხალხისათვის, ამან გამიჯნა

ეროვნული საქართველო ბოლშევიზმისაგან და ამით უნდა აიხსნას, რომ იმისი ბრძოლის კავშირი იყო არა მარტო ეროვნული, არამედ ხალხოსურის.

იმ პოლიტიკურ ვითარებაში, რომელშიც საქართველო იყო, იმ საერთო და გამანადგურებელ ტერორის დროს, რომელსაც ბოლშევიზმი ეწოდება და იმ საზოგადოებრივ მოსპობილობაში, რომელშიაც, ყველაზედ ადრე, ბლძოლის ძველმა მეთოდებმა დაჰკარგეს თავისი ნიადაგი, აქტიური ბრძოლის ერთადერთ სახედ ის მეთოდი იქცა, რომელსაც ჩოლოყაშვილი დაადგა. ამ გარემოებამ ჩოლოყაშვილი ბრძოლის ყველა ამბების შუაგულში ჩააყენა, მის სახელთან იყო დაკავშირებული 1922 წლის აჯანყება და მის მოქმედებასთან უნდა ყოფილიყო გადამბული 1924 წლის აგვისტოს აჯანყების გეგმებიც. და ყოველივე ეს იმ დიდ მნიშვნელობაზედ გვეითივით, რომელიც ჰქონდა ჩოლოყაშვილს მთელ ამ ბრძოლის ისტორიაში.

ამ ხალხურ კავშირში და იმ ბრძოლაში, რომელიც მან შეჰქმნა და აწარმოვა—ის იყო ნამდვილი მეთაური მებრძოლი ქართველების, უდრეკი და მტკიცე მიმყოლი თავისი მიზნისა, ღირსი და საყვარელი გმირი თავისი ხალხისა! ამ ბრძოლაში ბევრი სისხლი დაიდგარა. მოვიხადოთ თავი მათთვის, ვინც საქართველოსათვის აღესრულა! მაგრამ ამ მწუხარე წუთს ჩვენ არ შეგვიძლია, განსაკუთრებით ჩოლოყაშვილის გმირული ოჯახის არ მოვიგონოთ. ამ ბრძოლაში მას მოუკლეს ძმა, მაგრამ ძმა ტყეში დაფლა და ბრძოლა განაგრძო. მისი მსხვერპლი დედა მტერს პატიმრად ჰყავდა. პატიმრად ჰყავდათ და მძევლად—მისი მეთულოე და მისი ორი ასული, და დასასრულ, პატიმრად ჰყავდათ მასი სიდედრი და სიმამრი, რომელთაგან უკანასკნელი აგვისტოს აჯანყების დღეებში იყო დაზვრეტილი. და, აი, დღეს აღარც თითონ არის ცოცხალი!

მაგრამ ნუ ვიტყვი, რომ ის მოკვდა სამშობლოს გარეშე და კაცურის ავადმყოფობით. ჩვენ დღეს უნდა ვსთქვათ, რომ ის აქაც იმავე სიკვდილით მოკვდა, რა სიკვდილითაც იქ, საქართველოში, მრავალი ხალხი დაეცა. ეს სიკვდილი სამშობლოსათვის სამსახურია! მათი რიცხვი მრავალია! მაგრამ ეს უამრავი რიცხვი სამშობლოსათვის წამებულთა პირველობას დღეს ქაიხოსრო ჩოლოყაშვილს დაუთმობს, ხოლო ცოცხლები ერთხმად იტყვიან, რომ ჩოლოყაშვილი იყო ის შარავანდედ მოსილი ქართველი, რომელმაც ჩვენი დროის საქართველო ყველაზე მეტად ასახელა!

ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის სახელით, იმ პარტიისა, რომელიც მთელი ამ ბრძოლის განმავლობაში მისი მაღალი მოწოდების ერთ-სული და ერთ-გული თანამოსაგრე იყო, მე ვეუბნები მას საუკუნო მშვიდობით!



ხალხური ლექსი

ქაქუცა ჩოლოყაშვილის შესახებ მრავალი ლექსი და სიმღერა დადის ხალხში. მოგვყავს აქ ერთი ასეთი ლექსი, რომელსაც მღერიან ფშავ-ხევსურეთში და კახეთში.

ლექსის ავტორია მისა ხელაშვილი, ფშაველი გლეხი, 26 წლისა— შეფიცული. მოკლეს ბოლშევიკებმა 1923 წელს. ლექსში აწერილია 1922 წლის დუშეთ-ხევსურეთის აჯანყების ამბავი.

✱

ჯერ ისევ არის ზაფხული
 არ დათვლილან მთანია,
 ფშავ-ხევსურეთის კლდეებსა
 შაენივა ჰქონდა ფხანია.¹⁾
 შიგ ვცხოვრობთ ფშაველ-ხევსურნი,
 სალი კლდის შვილნი-ძმანია,
 უნდა მივიღოთ ამბავი—
 დროების მონატანია
 ქაქუცა ჩოლოყაშვილი
 მოჰქროლავს როგორც ქარია,
 თან ახლავს ქართველთ შვილები,
 თითო ლომების დარია.
 ბინას დასდებენ ფშავშია,
 სადაც მაღაროს - კარია.²⁾
 ტფილისით მოჰყვა ლაშქარი,
 რომელიც მუხლით მაღია,
 პურის ჰამაზედ ნახსდომებს
 დახვიეს თოფის ალია,
 ჰა, გიდი, ჩოლოყაშვილო,
 გულად გდებია ტალია,
 პატარა რაზმის უფროსო—
 ხარ მარდი კამანდარია!
 მკვდარი შეჰყარე მკვდარზედა,
 როგორც მტრის საბანდარია,³⁾
 წითლად შეღებუ არავგი,

¹⁾ კლდის წვეტები.

²⁾ სოფელ ფშავში—ვაჟაფშაველას სამშობლო.

³⁾ საბანდარი—ნათიბის პატარა ბალული მთაში.

ფშავ-ხევისურეთის წყალია.
 ფშაველებს გადაეცა ნადავლი
 იმათგან ანაყარია,
 ზენაისაკენ წამოხველ,
 მკვდრები რომ გადასთვალა
 თან ექვსი პოლკი შემოგყვა
 პულემენტ-ზარბაზანია!
 სიკვდილზედ ნუ დაღონდებით,
 ყველა იქ მიმავალია,
 იქ დაგხვდებიან გმირები
 სამშობლოსათვის მკვდარია
 ბიძინა ჩოლოყაშვილი
 დიდ-მოურავი გიორგი
 ქეთევან დედოფალია.

ჩვენს გმირს

I

შორს სამშობლოდგან გვეწვია გმირი,
 თითქოს მას ძველები უღიმის პირი.
 მაგამ მის გულში თუ რა მარხია
 ძნელ გასაგები დასახარია.

თითქოს შერჩაო ლომისა მზერა
 ქართულ პანგებზე სევდით სიმღერა
 მაგრამ იმ ხმებში გაისმის სევდა
 რომ იქ გვიტირის მამა და დედა.

სიტყვა პასუხი დარბაისული
 მტერ მოყვარესთან გაშლილი გული.
 დავლა კახური, ცეკვა-თამაში,
 მაგრამ სევდაა ყველა ამაში.

მისი მოქცევა, მიხვრა და მოხვრა
 ხშირაჲ იდუმლად მწარ ამოოხვრა
 თუმცა მიუწვდომთ ჯერ გასაგებად
 ქართველის გულსა ედება მწველად..

რამ დააღონა, რამ მოაწყინა
 რამ ჩააფიქრა, ან ვინ აწყინა,
 რაზედ სწუხს გული პატიოსანი
 ამას აგვიხსნის ქვემოდ მგოსანი.

იქ მან დასტოვა შეფიქსელები
საქართველოსა ნამდვილ შვილები
მიწა, მთა, ველი სისხლით მორწყული
და თვით სამშობლო ბნელით მოცული;

დღდა და დეები პატივ აყრილი.
მთლად საქართველო ბორკილ გაყრილი
არემლსა და სისხლში სსურავს ყოველი
თამარი, ნინო, სვეტიცხოველი...

ათი ათასი ტყვიით ნახვრეტი
სივ სარდაფებში მრავალჯერ მეტი,
მრავალ ათასიც გაჭრილი ტყეში,
საქართველოა დღეს ამ შავს დღეში.

და კიდევ ბევრნი გულით სატოფონი
დარჩნენ იქ თბლად, სრულად მარტონი,
მათ ვინ მოუვლის, ან ვინ მიხედავს
კიდევ უნდოდეს რაფერ გაბედავს?

ეს მწარე ფიქრი და მოგონება
მწამს გმირის გულსა სეცხლად ედება.
და ამას უნდა სულ სხვა წამალი
რომ მოიძებნოს გამოსავალი.

ჩვენი ვალია მოუდგეთ გვერდით,
საერთო მტერსა ვეჭვერთ მკვერდით.
ღრთა მოელოს ბოლო ლაბუობას
სიტყვის რახუნით ხალხის დატობას.

გათავდეს სიტყვა, ვიწყეთ საქმობა,
გვეყო ამდენი თმენა და თმობა
ზიზლი და წყევლა ქვეყნის დამლუბველს
ქება, დიდება, ნამდვილსა ქართველს!

მაშ ძმებო ფიცი, ძველი ქართული!
ღრთა გავსწმინდოთ ქანგიდან გული.
ერთად და მედგრად მოვსპოთ სატანა,
ვინც წაგვიბილწა ჩვენი ქვეყანა.

II

მამულიშვილო, თუმცა გილიმის პირი
მაგრამ ვინ უწყის გულში რასსტირი.
ქართული პანგიით მწარე სიმღერით,
თუ რას განიციდი შენ გულის ძვერით!...

გაკაჟდი გმირო, იყავ შედგარი,
 ხედავ გვადგია დღეს ბედი მწარი
 თუ რამეს გახდი კიდევ კაჟობით,
 გამბედაობით და ვაჟკაცობით.

მაშ გაგვიმართლე გმირო იმედი
 იყავ საქმეში მკაცრი, თავხედი,
 არ მოიხარო მტრის წინა ქედი
 დროა გადაწყდეს მამულის ბედი!

თორემ მარტოკა გმირის სახელით
 წამხთარ საქმესა ვეღარ უშველით.
 ნამდვილ გმირისაგან არის საჭირო
 რომ მოაგვაროს საქმე საგმირო.

მაშ გამარჯვება ჩვენ საქართველოს,
 ყოველსა შეილსა მის სასარგებლოს,
 იქ დარჩენილთა ქვრივისა და თბოლს,
 საერთო საქმის ბრწყინვალე ბოლოს!

კ. ბერიძე*)

ქაქუცა ჩოლოყაშვილის დაკრძალვა

ქაქუცა ჩოლოყაშვილი გარდაიცვალა ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ 29 ივნისს, ღამის 10 საათზე და 40 წუთზე, პრასკუდანის სანატორიუმში, ოტსავეუაში. ეროვნული გმირის გარდაცვალების ამბავი ელვის სისწრაფით მოედვა ქართულს ემიგრაციას და გამოიწვია მასში უღრმესი მწუხარება. ამ დანაკლისის დიდი მნიშვნელობა და ღირებულობა ყველამ იგრძნო და ნათლად დაინახა.

27 შესდგა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის საზოგადო კრება, რომელზედაც გამოსხადებული იქმნა პარტიის საზღვარ-გარეთის ცენტრალურ ბიუროს განკარგულება ეროვნული გმირის გარდაცვალების გამო 40 დღის მგლვიოარობის დაწესების შესახებ პარტიის ყველა წევრთათვის. ამორჩეულ იქმნა საგანგებო კომისია, რომელსაც დაევალა ცხედრის ჩამოსვენების და დაკრძალვის მოწყობისათვის მუშაობა. კომისიამ გამოსცა განსვენებულის სურათები, დაამზადა დიდი ეროვნული დროშა და აგრეთვე საგანგებო გულზედ სატარებელი, სამგლოვიარო ნიშნები!

ეს ლექსი დაწერილია განსვენებული კალისტრატე ბერიძის მიერ ქაქუცა ჩოლოყაშვილის პარსუში ჩამოსვლის ხანებში 1924 წ. დამლევს.

რომელზედაც ქაქუჩა ჩოლოყაშვილის სურათი იყო ამოჭრილი, მოაწყო შეფიქსულებთან ერთად სხედართან დარაჯობა და სხვა.

განსვენებულის სხედარი გადმოსვენებულ იქმნა პარიზში და დაკრძალული 5 ივლისს სანტ-უანის სასაფლაოზედ, საგანგებოდ აგებულს აკლდამაში. დაკრძალვის დღემდე გადახდილ იქმნა მრავალი პანაშვიდები ქართული ასოციაციისა და სხვა საზოგადოებათა და მეგობართა მიერ.

ქართულმა ემიგრაციამ გაუმართა თავის ეროვნულს გმირს ემიგრაციაში არ ხილული ეროვნული დაკრძალვა.

განსვენებულის სხედარი ჩამოსვენების შემდეგ ესვენა ბერძნების ეკლესიაში, სადაც მას მუდმივად ადგა შეფიქსულთა და ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის საპატიო დარაჯები. გასვენების დღეს გადახდილი იქმნა წირვა და პანაშვიდი. ვრცელი საყდარი არ იტევედა დამსწრე საზოგადოებას, რომელიც აესებდა აგრეთვე ეკლესიის შესავალს და ქუჩას. საგალობლებს ასრულებდა ქართული ხორა პავლე მოსულიშვილის ლოტბარობით. კუბა დაფარული იყო ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის მიერ ფარჩის დიდი ეროვნული დროშით და მრავალი ორგანიზაციითა და მეგობრებისგან გვირგვინებით და თაიგულებით.

გასვენებას და დაკრძალვას დაესწრო მთელი ქართული კოლონია. მრავალი იყვენ ფრანგები, ჩვენი მეზობელ ერთა წარმომადგენელნი, და აგრეთვე უკრაინის, თურქესტანის და პოლონეთის წარმომადგენელნი. იყვნენ უცხო ქვეყნების მისიათა წარმომადგენელნი და მხედრები. აურასხელი სამხიმარის დეპუტები იყო მიღებული და მათშორის—გენ. გუროსი, გენ. პოსი, საფრანგეთის ყოფილ მთავრობის თავმჯდომარის ერიოსი, მარკიზ დე-ბაის, სულიესი, ბუასონის, ინგლისის თემთა პალატის წევრის ალენის, და სხვ. ფრანგულ პრესსაში მრავალი წერილები იყო მოთავსებული საქართველოს ეროვნული გმირის გარდაცვალებისა და დაკრძალვის გამო.

ფრიად მრავალ რიცხოვან სამგლოვიარო პროცესიამ განვლო დიდი მანძილი ბერძნების ეკლესიიდან სენტ უანის სასაფლაომდე და მოხუცნი, ქალნი და ბავშვნიც უნაკლულოთ მიჰყვენ განსვენებულის სხედარს მის საფლავის კარამდე..

სიტყვები წარმოსთქვეს: ქართულ კოლონიის თავმჯდომარემ დავ. სხირტლაძემ, ქართული ემიგრაციის სახელით. ვე. გეგეჰკორმა საქართველოს მთავრობის სახელით. ა. თოფჩიბაშმა, აზერბეიჯანის დელეგაციის სახელით. ალ. ხატისიანმა, სომხეთის დელეგაციის თავმჯდომ. ამხანაგმა. კ. ბამატმა, მთიულთა დელეგაციის თავმჯდომ. ამხანაგმა. ა. შულგინმა, უკრაინის საგარეო მინისტრმა. ფაიემ—უფრანლისტმა, მინისტრ ლუი მარენის სახელით. შალ. ამირეჯიბმა, საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის წევრმა, ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის სახელით. გენერალმა ივ. ჯაფარიძემ, ჩართველ მხედართა სახელით. გ. გვაზავამ. გრი-

15708



მათი გაშუქება აჯანყების მარცხის მიზეზებისა სწორი არ არის და ეს უნდა აიხსნას იმ გარემოებით, რომ არს ბ-ნი ქავთარაძე და არს პოლკ. საგურია ჩახედულნი არ არიან აჯანყების წინასწარ მუშაობაში და თავიანთ დასკვნებს შემტადარ მსჯელობაზედ ამყარებენ.

როგორც პირი, რომელიც ფრიად ახლო უდევს აჯანყების ტენიკურ მხარეს, მის მზადებას და დეტალებს და წვერი დამოუკიდებლობის კომიტეტის იმ ცენტრალურ სამხედრო კომისიისა, რომელიც ამ საქმეს განაგებდა, ჩემ თავს მოვალედ ვსთვლი, რაკი საკითხი საჯაროდ იქნა გამოტანილი, მიუთითო ვითარების იმ ზოგიერთ მოვლენებზედ, რომელიც აუცილებელია კაცმა იცოდეს, რომ აგვისტოს აჯანყების მარცხის მიზეზებზედ სწორი წარმოდგენა ჰქონდეს.

აგვისტოს აჯანყებისათვის ორნაირი მუშაობა იყო საჭირო: საგარეო და შინაგანი. საგარეო, ან დიპლომატიური მუშაობისათვის უნდა ეზრუნა ემიგრაციაში მყოფ სათანადო ორგანოებს, დანამდვილებით კი მას მთავრობის ორი პირი აწარმოებდა. შინაგანი, ე. ი. ხალხის დარაზმებისა და აჯანყებისათვის აუცილებელ პირობების შექმნისათვის—დამოუკიდებლობის კომიტეტს—საქართველოში.

აჯანყების მომენტი მხოლოდ იმ დროს შეიძლებოდა ჩათვლილიყო დამდგარად, თუ ეს ორგვარი მუშაობა თანაბრად და მართლა იქნებოდა შესრულებული.

როგორ იყო საქმე ამ მხრივ?

1924 წლის მაისში, დამოუკიდებლობის კომიტეტს ტენიკური მუშაობა უკვე დამთავრებული ჰქონდა. აი ამ დროს ჩამოვიდნენ სწორედ ემიგრაციაში ბბ. ნოდია (რომელიც საგანგებოდ იყო ვაგზავნილი ტფილისიდან პარიზში ცნობისთვის თუ რამდენათ საერთაშორისო—მდგომარეობა ხელს უწყობს აჯანყებას საქართველოში), ბ. ჩხიკვიშვილი, ე. ჯუღელი, პინსაბაძე და სენტერაძე, რომელთაგან დამოუკიდებლობის კომიტეტმა მოისმინა, რომ გარეშე პირობები ხელს უწყობს აჯანყების დაწყებას და დამოუკიდებლობის კომიტეტსაც მეტი არა დარჩენოდა, რომ აჯანყების გეგმის განხორციელებას შესდგომოდა.

აჯანყების გეგმის მიხედვით მთავარი დარტყმა ტფილისზედ და ბათუმზედ უნდა მომხდარიყო. ტფილისზედ, როგორც საქართველოს პოლიტიკურ ცენტრზედ და ბათუმზედ, როგორც ზღვის ქალაქზედ, რომელიც აჯანყებულ საქართველოს გარეშე ქვეყნებთან გადაბამდა. ამ მხრივ ორივე ქალაქი ზედ-მიწვევით იყო შესწავლილი. იარაღი იგულვებოდა იმდენი, რამდენიც საჭირო იყო პირველი გამოსვლისათვის. ამავე მიზნით თავ. ქაქუცა ჩოლოყაშვილი ტფილისის მახლობ ჯად დაბანაკდა—20 ვერსის მანძილზედ. დანიშნული იყო სარდალიც—გენერალი სპ. ჭავჭავაძე და შექმნილი სამხედრო შტაბიც (უკანახელი უკვე 1 აგვისტოდგან).

ფაქტიურად ამ დღიდან ყველა ტენიკურ-სამხედრო კომისიები ამ შტაბის განკარგულებაში გადადის. სარდალი ესწრება დამოუკიდებლო-

ბის კომიტეტის და სამხედრო ცენტრის კრებებს, ხდება კომიტეტისა და კომისიის შეერთებული სხდომები. აჯანყების დღეთ ინიშნება 17 აგვისტო. გამოსვლა უნდა დაწყებულიყო ერთ დღეს, ერთს საათს, ყველგან და უეცრივ, გამუდმებულის მოძრაობით, რათა საბჭოთა მთავრობაში და კომუნისტურ რიგებში დეზორგანიზაცია შეგვეტანა. გეგმა და უკანასკნელი ბრძანება შიკრიკების ხელით პროვინციებს უკვე ჩაბარებული ჰქონდათ.

ასეთი იყო ვითარება I აგვისტოდან—6 აგვისტომდე, როდესაც ჩვენ ვ, ჯუღელი დააპატიმრა და რადლიდანაც იწყება ტრალიკული პერიოდი აჯანყების წინა ხანისა, რასაც მოჰყვა გეგმის შეცვლა, აჯანყების გაძილებით ნაკლებ ხელსაყრელ პირობებში დაწყება და დასასრულ თვით აჯანყების მარცხის, რა თქმა უნდა სხვა მიზეზთა წყალობითაც, რომელზედაც სიტყვა ქვემოთ გვექნება.

როგორც უკვე ცნობილია, განსვენებულ ვ. ჯუღელს ჩვენში აჯანყების დღეს კი ათქმევინეს. ამის შემდეგ ვ. ჯუღელი წერილს წერილზედ და კაცს კაცზედ უგზავნის დამოუკიდებლობის კომიტეტს და მენშევიკურ ცეკას და იმუდარება, რომ აჯანყებულნი ხელი აგველო. დამოუკიდებლობის კომიტეტი ჯუღელთან ყოველგვარ დამოკიდებულებას სობს. ხოლო მენშევიკური ცეკა, ჩვესგან მოგზავნილ კაცს (ვანო ლლონტს) ეუბნება სიტყვა-სიტყვით შემდეგ: „გადაეცით ბ. ჯუღელს და ჩვენს, რომ გამოსვლის საკითხი ახლო მომავალში არ დგას და არც არავითარ აჯანყებას ვაპირებთ“.

მაგრამ საბჭოთა ხელისუფლებას ეს პასუხი ვერ აკმაყოფილებს, ნერვიულობს და რეპრესიებს მიმართავს. მანიფრეტზედ მყოფი ჯარი ტფილისში და სხვა ცენტრებში გადაჰყავს, ტფილისის გარშემო გზებს ჰკრავს. საღამოს 9 საათის შემდეგ, ტფილისიდან გასვლა, ან შემოსვლა აკრძალულია, ამარგებს ქალაქის მნიშვნელოვან პუნქტებს და ქუჩებში პარტიული რაზმები გამოჰყავს. ამავ დროს ბათუმში უარესი ამბები ხდება. ატუსაღებენ გენ. ყარალაშვილს, რომელიც დანიშნული იყო გურიის აჯანყებულთა ხელმძღვანელად, ხოლო ამ ამბვის მეორე დღეს ატუსაღებენ ბათუმის კომიტეტის და ბათუმის სამხედრო ხელმძღვანელად დანიშნულ გენ. ფურცელაძეს.

რალა თქმა უნდა, რომ ასეთ პირობებში ტფილისისა და ბათუმის გამოსვლა აღარ ხდება. ამ ორ ქალაქში, თუ შეიძლება ასე ითქვას, აჯანყებას თვით საბჭოთა მთავრობა აწყობს, მაგრამ უკვე ჩვენს წინააღმდეგ და თაოსნობა მის ხელში გადადის. ჩვენი რიგები კი—ბათუმში საფუძვლიანად დაზიანებული, ტფილისში—აშკარად ბოლშევიკურ რეპრესიების წინაშეა დაყენებული. ასეთი ფაქტის შემდეგ, დამოუკიდებლობის კომიტეტი იმ აზრს ადგება, რომ აჯანყების ცენტრად ტფილისი მიუღებელია და ცენტრად ხდება ქ. ჩოლოყაშვილის ბანაკი, როგორც ძალა ბოლშევიკური ტერორისაგან უფრო მეტად დაცული და მიუვალნი. მაგ-

რამ ასეთი ახალი გეგმის საბოლოოდ მიღებისათვის თვით ქ. ჩოლოყაშვილის აზრი იყო საჭირო და დამოუკიდებლობის კომიტეტი ჩოლოყაშვილის ნახვას მე მავალებს. მე გავედი ტფილისიდან და 16-ს უკვე მასთან ვიყავი. ქ. ჩოლოყაშვილმა გაიზიარა დამოუკიდებლობის კომიტეტის აზრი, მაგრამ ასეთი პირობა დამიყენა: „ხომ ხედავ ხალხი თავს იყრის— მალე ღვდელიც მოვა აჯანყებულთა დასალოცავად და თუ დროზედ გამოვედით, იმედი მაქვს ხალხს ბევრს მოუყრი თავს. მაგრამ თუ გამოსვლა ამ სამ დღეში არ მოხდა, ტყეში და ქალაქთან ასე ახლო ამდენ ხალხს ვერ შევიანახავ, სანთავაგე მაკლია და თუ ეს ხალხი ისევ სოფლებში გავისტუმრე, ახლო მომავალში მათი თავის მოყრა ადვილი აღარ იქნება. მანამ გლუბკაპი პურსა და ღვინოს არ დააბინავენ, აღარ გამოვა, წინააღმდეგ შემთხვევაში გონიერება მოითხოვს აჯანყება საში თვით გადაიდოს“-ო.

ამას რომ ვიგონებ, უნდა ისიც დავადასტურო, რომ ქაქუცა ჩოლოყაშვილთან ხალხი უკვე თავს იკრებდა, მასთან იყვნენ ს. სულხანიშვილი, ლ. ჩიქოვანი და ა. ფეიქრიშვილი. ორასი კაცი უკვე მოსული იყო და ჩემის თვალით ვხედავდი, როგორ მოჰყავდათ სხვა ახალი ჯგუფი გლუბკაპობისა ორმოცდაათი კაცისაგან შემდგარი— ელიზბარ ვაჩნაძეს, რაფო ერისთავს და მ. მაისურაძეს. ამ ჯგუფთან მოვიდა მღვდელიც, რომელსაც ბელადი ელოდა. არაგვიდან ელოდა 250 კაცს, რომელიც უნდა მოეყვანა გაბო ოზიაშვილს, სერგო მაისურაძეს და ჭიმბალიშვილს. ამავე დროს და აქვე უნდა მოსულიყვნენ მ. ლაშქარაშვილი თავის რამზით და მის. ნაცვლიშვილი და ა. ბადურაშვილი, ი. ქარუმძე და ძმები ლ. და შ. ჯავრიშვილები სხვა ხალხით. ამ დღეს ქ. ჩოლოყაშვილს 600 კაცი უგრძობდებოდა, მაგრამ რადგანაც მიღებულ იქნა აჯანყების სამი დღით გადადება, კაცები დაუგზავნა, რომ მხოლოდ მესამე დღეს გამოცხადებულიყვნენ.

მე იმ დღესვე ტფილისში დავბრუნდი და დამოუკიდებლობის კომიტეტის კრება მოვაწვევინე, რათა ვითარება მომესხენებინა. დაესწრნენ: კ. ანდრონიკაშვილი, შ. ამირეჯიბი, ი. ჯავახიშვილი, დ. ონიაშვილი, გენ. ჭავჭავაძე და სხვ. კომიტეტს საქმის ვითარება გავაცანი, მაგრამ, სამწუხაროდ, აჯანყება გადაიდო არა სამის თვით, როგორც ქ. ჩოლოყაშვილი მოითხოვდა, არამედ თერთმეტის დღით.

24 აგვისტოს შესდგა კომიტეტის კრება, რომელსაც მე არ დაესწრებივარ, სწომმა ფრიად საიდუმლო იყო და დაესწრო მხოლოდ ოთხი პირი. ამ კრებაზედ გადაწყდა აჯანყების დღის დანიშვნა და მიღებულ იქმნა დადგენილება— დამოუკიდებლობის კომიტეტი ქ. ჩოლოყაშვილის ბანაკში გასულიყო ტფილისში რჩებოდა მხოლოდ მისი განყოფილება. ამ გადაწყვეტილებამ თავზარი დამსა, ბევრი ვეხვეწეთ მე და მის. იშხნელი იას. ჯავახიშვილს, რომ კომიტეტს უარი ეთქვა ტფილისიდან გასვლაზედ, მაგრამ პასუხად მივიღეთ, რომ გადაწყვეტლება საბოლოოა და ველარ გადაისინჯებაო.

დამოუკიდებლობის კომიტეტმა და გენ. სპ. ჭავჭავაძემ ტფილისი

26 აგვისტოს დილის 5 საათზე დასტოვეს და ვაკეს გზით ქ. ჩოლოყაშვილის ბანაკში წავიდნენ.

ჩოლოყაშვილის სიტყვები გამართლდნენ და 29 აგვისტოსათვის ხალხის შეკრება ძნელი აღმოჩნდა. ეს იყო მიზეზი, რომ უწინდელი ექვსასი კაცის ნაცვლად, ჩოლოყაშვილს მხოლოდ 140 კაცი მოუვიდა. ესევე იყო მიზეზი, რომ მიუხედავად იმისა, რომ მანგლისიდან ბოლშევიკური ჯარის ნაწილები გაიქნენ და სეიხგაუზი აჯანყებულთა განკარგულებაში შეიძლებოდა ყოფილიყო, შესაიარალებელ ხალხის რიცხვი არც მანგლისის შესარჩენად გამოდგა საკმაო, არც მით უმეტეს უფრო ფართო ოპერაციებისათვის.

მაგრამ ამას ზედ დაერთო უფრო დიდი შეცდომა. უიათურის გამოსვლა ოცდაათი საათით ადრე მოხდა, ე. ი. ბოლშევიკებს საშუალება მიეცათ აჯანყებულებს უფრო ადრე გასწორებოდნენ, ვიდრე აჯანყება დაიწყებოდა. ასე მოხდა მავალითად კახეთში, სადაც ყველა ორგანიზაციები და მათი ხელმძღვანელები ერთი დღით ადრე იქნენ დატუსაღებულნი. ბოლშევიკებმა პარტიული მობილიზაცია გამოაცხადეს და ჯავშნოსან მატარებლებისა, ჰაეროპლანებისა და ავტომობილების მეშვეობით მათი ტერიტორი უფრო ადრე დაიწყო ბევრ ადგილას, ვიდრე აჯანყებულები თავის საქმეს შეუდგებოდნენ. ტფილისში გამოაცხადეს სააღყო წესები და ყოველივე ამის გამო ტფილისის გამოსვლის ამოცანები მოიხსნა.

აღსანიშნავია მესამე გარემოება. ტფილისი ორი მხრიდან უნდა ყოფილიყო აღებული. ერთის მხრივ მანგლისში შეიარაღებულ ხალხით, მეორეს მხრივ—ვაზიანდგან წამოსულ ძალით, მაგრამ ვაზიანში არაფერი არ გაკეთდა, მიუხედავად იმისა, რომ ეს ოპერაცია იმდენად მნიშვნელოვანი იყო რომ, ის იგულისხმებოდა როგორც აჯანყების ძველი გეგმით, ისე მისი ახალი ვარიანტით.

აი, ის მიზეზები, რომელმაც სხვა მიზეზებთან ერთად ხელი შეუწყვეს რომ აგვისტოს აჯანყება მარცხით დამთავრებულიყო, მაგრამ ეს არის ადგილობრივი, ანუ შინაგანი ვითარების მიზეზები. არა ნაკლებ საინტერესოა გარეგანი მიზეზებიც, ე. ი. რა ხდებოდა მთელი ამ პროცესის დროს ევროპაში მყოფ სათანადო ქართულ წრეებში, რადგანაც თუ ეს კითხვაც არ დაისვა, აგვისტოს აჯანყების მარცხის ყველა მიზეზების აღწერა სრული არ იქნება.

სოლ. ზალდასტანიშვილი.

საქართველს ხინამდვილე

ჩვენი ერთგული სხოვრების ვითარება საშინელ ფორმებს ღებულობს. ამიერიდან გადალახულია და დიდად გადაჭარბებული ყოველივე

ის, რაც განიპადა ჩვენმა ერმა საბჭოთა რუსეთის ბატონობის პირველი წლების მანძილზედ. სიხე, გადასახლება, და თვით ათასობით გაღებული მსხვერპლი უკვე მძირე რამ არის თავის მნიშვნელობით იმასთან შედარებით, რაც ეხლა ხდება. ერის დაძაბუნებისა, დაკნინებისა და ფიზიკურად გადაგვარების საშიშროება დგას ჩვენს წინაშე და ის სისტემატიურად მზადდება.

ამ დიდს განსაცდელს მრავალი ძირი აქვს, მაგრამ მთავარი მისი საფუძველია ის პოლიტიკა, რომელსაც აწარმოებენ ბოლშევიკები ამ უკანასკნელ დროს მთელი სასოფლო-მეურნეობისა და მთელი გლეხობის მიმართ.

ამ ბოროტ საქმეს წარმოადგენს კოლექტიური მეურნეობის დამყარება, რასაკვირველია იძულების სხვა და სხვა ფორმებით.

ამ ფრიად სახაფათო საქმის ნათელს სურათს იძლევა ფ. მახარაძე თავის მოხსენებაში, რომელიც მან გააკეთა ამიერ-კავკასიის კომუნისტურ პარტიის მე-7-დე ყრილობაზედ. სიმართლე უნდა ითქვას, ეს მოხსენება ფრიად საფუძელიანად აუუქებს ამ საკითხს.

მახარაძე გულწრფელად აღიარებს: «არც ერთი კომპანია ჩვენს პარტიას არ ჩაუტარებია ისე მოუმზადებლად, ისე აუწონ-დაუწონლად, სხ. და სხ. რაიონების თავისებურობასთან შეუფარდებლად, როგორც კოლექტივიზაციის კომპანია იქნა ჩატარებული... ზოგიერთი ოლქები, როგორც მაგალითად გორი, კახეთი, მთლიან კოლექტივიზაციის გატარებას შეუდგენ თავისი ინსიატივით... ყველა ამათ (კომუნისტებმა და საგანგებო წითელ-არმიელთა და მუშათა ბრიგადებმა) თავისი დანიშნულება ისე გაიკვეს, რომ საქართველოში სოფლის მეურნეობა უნდა გადასულიყო მთლიან კოლექტივიზაციაზე სულ მოკლე ხნის, დაახლოებით ერთი კვირის, ან და დიდი დიდი ორი კვირის განმავლობაში».

გასაგებია, რომ ერის არსებობისათვის ამ ზომად მნიშვნელოვანი საქმის ასეთი ბოროტი უვიცობით დაწყებას თავისი შესაფერისი ფორმები ექნებოდა. ფ. მახარაძე გვამცნობს, რომ „განკულაკება (ე. ი. უფრო შეძლებული გლეხობის გაძარცვა) შეეხო არა მარტო კულაკებს, არამედ საშუალო და თვით ღარიბ გლეხსაც კი. დღეს ჩვენ ბლომად გვაქვს იმის დამამტკიცებელი ფაქტები, რომ განკულაკებულთა დიდს ნაწილს საშუალო გლეხები შეადგენენ“. მას მოჰყავს მაგალითად გორის რაიონი, სადაც განკულაკებულ იქმნა 75 მეურნე. მათ შორის საშუალო გლეხი იყო 44 და ღარიბა 3.

მახარაძე ამას სოფლის კომუნისტებს უსაყვედურებს, თითქოს მეთაურობა არაფერ შუაში იყოს. მაგრამ როდესაც ზემოდან გასცეს ბრძანება—კულაკები მოსპეთო და ყოველივე სოფლის იაჩიკის ბოლშევიკური დამსახურება იმით აიწონებოდა, თუ რამდენ კულაკს გაატყვევებდა, როგორ უნდა მოქმედებდნენ ისინი, უკე თუ კულაკები აღარ მოიპოვე ბოლშევიკური ვინაიდან უკვე განადგურებული იყვენ წინა წლების კომუნისტური მოღვაწეობით?... იმათ უნდოდათ შიშის ქვეშ ჩაეტარებიათ კო-

ლექტივიზაცია, დასკვნის მახარაძე. როგორი სხვა საშვალეებით შეიძლება- ამ ველური გეგმის შესრულება, ამაზედ მახარაძე არას ამბობს.

ფ. მახარაძეს მოჰყავს სწობა, რომელიც მოუხსენებიათ პარტიისათვის რუსეთის ერთი რაიონადგან. — „საღამოს 5 სათიდან დილის 7 საათამდე კულაკობა, როგორც კლასი მოსპობილ იქმნა“. რასაკვირველია, ასეთებს ჩვენშიც ჰქონდა ადგილი, თუგინდ ბორჩალოს რაიონის სოფ. სარვანშიო, დასძენს მახარაძე. მთელი წრის, მთელი კლასის ერთს ღამეს და რამოდენიმე დღის მანძილზედ ლიკვიდაციის შესახებ ფ. მახარაძე ძლიერ მსირეს გვეუბნება, მაგრამ ყველასათვის ნათელი უნდა იყოს, თუ როგორი გზით ხდებოდა ეს ლიკვიდაცია—ეს იყო ამ წრის ამოქლეტა, ჩეკის სარდაფებში ჩამწყვდევა და, უკეთეს შემთხვევაში, ჩრდილო ქვეყნებში გადასახლება. განკულაკების ამ უკანასკნელი შედარებით უფრო ღმობიერ ფორმის შესახებ ფ. მახარაძე შემდეგს გვამცნობს: „განკულაკების დროს ასახლებდნ მთელ ოჯახს, რომელშიაც შედიოდნ 80-90 წლის მოხუცებულები, ინვალიდები, ქალები, ბევრები და ავადმყოფები. სადასახლებდნ მათ, სად უნდა წასულიყვენ ისინი, კაცმა არ იცოდა“...

ყოველივე ამის შემდეგ ფ. მახარაძე ირწმუნება, რომ საქართველ ეს კომპარტიის ყოლობის დადგენილებები ეჭებოდა მხოლოდ ხორბლის რაიონების კოლექტივიზაციას და არა ყველა რაიონებისასო. ამის საბუთად მას ყრილობის შემდეგი დადგენილებები მოჰყავს: „...უკვე შეგვიძლია... 1930 წლას დამლევისათვის არსებითად დავამთავროთ კოლექტივიზაცია კახეთის, გორის და თფილისის ოლქებში და ზუგდიდის მაზრაში 1931 წ- ან უკიდურეს შემთხვევაში. 1932 წ. გაზაფხულისათვის საერთოდ დამთავრდება კოლექტივიზაცია მთელ საქართველოში“.

ამ დადგენილებიდან ნათლად სჩანს, რომ სოფლის სრული კოლექტივიზაციის ბრძული გეგმა კომპარტიის სათავიდან მომდინარებოდა, ხოლო ადგილობრივი ბოლშევიკები სოტა გაფიცებულან და მისი შესრულება ორი წლის ნაცვლად რამოდენიმე დღეში მოუნდომიათ. და არც ეს იყო საკვირველი. ზევიდან მათ მუდამ ის ესმოდათ, რომ ბოლშევიკური დაკვრითი წესით უნდა სრულდებოდა ეს ხუთწლიეი და ყველა სხვა საქმეები და მათაც დაკვრითი წესით ჩაატარეს გლეხების ეს განკულაკება და დარბევა.

მაგრამ სადაც ერთი დაკვრა ხდებოდა, იქ მეორეს მიყოლებაც მოხერხდებოდა და მართლაც კომუნისტები კოლექტივიზაციასთან ერთად გზა და გზა სხვა საქმეებსაც აკვარებდნ ამავე დაკვრითი წესით. ფ. მახარაძე მოგვითხრობს: „...კოლექტივიზაციას ემატებოდა კიდევ სხვა კომპანიები, მაგალითად ანტირელიგიური კომპანია. მიდიოდნ ბრიგადები, მიმარებულები, ცენტრიდან გაგზავნილა ამხანაგები, და თავის მზრით დამატებით ატარებდნ ანტირელიგიურ კომპანიას, ისიც ისეთ ჩამორჩენილ ადგილებში, ისეთ ფანატიზმით გაქლენთილ კუთხეებში, რომ პირდაპირ წარ-

მოუდგენელია, რისთვის დასჭირდათ ეს, ვისთვის იყო საჭირო, მაგალითად, ზარების ჩამოსხნა, მეჩეთების დახურვა?!”.

ასეთი კოლექტივიზაციის შემდეგ, მოგვითხრობს მახარაძე, მდგომარეობა გამწვავდა, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ანტიკოლექტიური და კულაკურ გამოსვლებს უკვე ქონდა ადგილი, ჩვენ ამას ვერ ვხედავდით. აფხაზეთში, კახეთში და ზოგიერთ სხვა რაიონებში ადგილი ჰქონდა ქალთა გამოსვლებსაც!... კულაკები აყენებდნენ ისეთ მოთხოვნილებებს, რომლებიც სცილდებოდნენ კოლექტივიზაციის ფარგალს და ანტისაბჭოთა ხასიათს ღებულობდნენ. ისინი მოითხოვდნენ კომკავშირელების და კომუნისტების გაძევებას სოფლებიდან, თავისუფალ ვაჭრობას და სხვ.”.

ჩვენი ქურონალის უკანასკნელს ნომერში ალ. ასათიანს ვრცლად ჰქონდა დასურათებული ის მძაფრი გლახობა მოძრაობა, რომელიც წარმოიშვა საქართველოში და რომელიც სასოფლო-მეურნეობის მიმართ 15 წლის მენშევიკურ-ბოლშევიკურ პოლიტიკის ბუნებრივი შედეგია და ამ პოლიტიკის წინააღმდეგ არის მიმართული. ფ. მახარაძე, რასაკვირველია მას ნაწილობრივ იხსენიებს და „სხვა და სხვაში“ ათავსებს.

სტალინმა ააღო აულო შექმნილს ვითარებას და მიხვდა, რომ ასეთი ბოლშევიკური დაკვირვით მთელს გლეხობაზედ კარგი არა გამოვიდოდა რა ბოლშევიკური წყობილებისათვის და გამოაქვეყნა თავისი ცნობილი წერილი „თავბრუდახვევა წარმატებისაგან“. ამ წერილში სტალინი ჰგმობს კოლექტივიზაციის მოხდენას ძალდატანებითი საშუალებით. რასაკვირველია ეს სრული უარყოფა არ იყო ძალდატანებისა ამ საქმეში. ფ. მახარაძე განმარტავს, რომ „ეკონომიური ღონისძიებით“ უნდა მოხდეს კოლექტივიზაციის ჩატარება და არა ადმინისტრატიული ზეგავლენით. მაგრამ ეს მსირე შემსუბუქებას საკმარისი იყო, რომ ძალდატანებით კოლექტიურ მეურნეობაში შედენილ გლეხობის დიდი ნაწილი სასწრაფოდ იქიდან გამოსულიყო.

„კოლექტივებში, მოგვითხრობს ფ. მახარაძე, 1 მარტისათვის გაერთიანებული იყო 295,131 გლეხური მეურნეობა, ანუ მთელი რაოდენობის 65,25 პროცენტი, 10 მაისისათვის კი—103,990 მეურნეობა, რაც გლეხურ მეურნეობათა 23 პროცენტს შეადგენს“. ამრიგად ორი თვის განმავლობაში ამდენი „დაკვირვით“ და რბევით კომუნისტების მიერ აშენებული კოლექტივიზაციის ხუხულა 65 პროცენტიდან 23 პროცენტამდე დავიდა.

ქალები აქაც აქტიურ როლს თამაშობენ. „ქალები აქტიურად გამოდიან და ეუბნებიან ქმრებს: „გაგეყრებით, თუ კოლექტივებს თავი არ დანებებო““.

ამ რიგად, გლეხობის დიდმა ხაწილმა სასწრაფოდ დაახწია თავი ძალდატანებით გაკოლექტივობას, მაგრამ ვაი ამისთანა თავის დახწევას! მთელი მისი ქონება კოლექტივში იყო შეტანილი და გავსლისას მას ან სრულიად არაფერს უბრუნებენ და ანდა მხოლოდ მის მსირე ნაწილს. ამის შესახებ მახარაძე შემდეგს მოგვითხრობს: „კოლექტივიდან გამოს-

ელის შემდეგ გლახობამ მოინდომა თავისი ქონების უკან დაბრუნება^ა ამ ნიადაგზე წარმოიშვა ახალი უკმაყოფილება. არაფერ არ იცის და არავითარი დოკუმენტები არ არის იმის შესახებ, თუ ვინ რა შეიტანა კოლექტივში. შემდეგ გამოირკვა, რომ ბევრი რამ არის გაფლანგული. საქონელი ზოგი დახატილი და ზოგიც გაუყიდათ... უფრო ძნელი შეიქნა გლეხებისათვის იმ მიწების დაბრუნება, რომელთაც ისინი წინა დამუშავებდნენ... უკანვე უნდა დაგვებრუნებია მათთვის ქონება თუ არა? ჰკითხულობს მახარაძე და შემდეგ პასუხს იძლევა: მთელი ჩამორთმეული ქონების დაბრუნება, რასაკვირველია, არ შეიძლება, და ამისათვის გადავწყვიტეთ განკულავებულთათვის საცხოვრებლის მინიმუმი დაგვებრუნებია. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთ ადგილებში კიდევ არის ჯიუტობა, არ უნდათ ცხოვრებაში გაატარონ ის რაც ჩვენ დავადგინეთ^ა. ამ რიგიდ სტალინის და მახარაძის გამოქომაგებას არ გამოუღია მაინც და მაინც დიდი შედეგები იმ გლეხებისათვის, რომელნიც ძალდატანებით იყვენ შედენილი კოლექტიურ მეურნეობაში. გასვლის თავისუფლება მისცეს, მართალია, მაგრამ შეტანილ ქონებას მთლიანად რასაკვირველია არ უბრუნებენ და ზოგან კიდევ სრულიად არაფერსაც.

მაგრამ ეს კიდევ ცოტაა. „დღეს ჩვენ საქართველოში კოლექტივიზების გარეშე გვეავს ღარიბ და საშუალო გლეხების 80 პროცენტი, აღიარებს მახარაძე. მერე როგორია ამ გლეხებისადმი დამკვიდრებულება? „ჩვენს განკარგულებაში მყოფი ცნობებით მტკიცდება, რომ ზოგიერთ რაიონებში და სოფლებში ადგილი აქვს ინდივიდუალური მეურნე გლეხებთან დამოკიდებულობის ყოვლად უმსგავსო ფაქტებს. ორგანიზ. ციული და სამეურნეო დახმარების გაწევა არ არსებობს, კრედიტებს არ აძლევენ და სხ. „უმეტეს შემთხვევაში თესლი სრულიად არ ეძლევათ ინდივიდუალურ მეურნე ღარიბ გლეხებს“^ა-ო ამბობს კომუნისტური ოფისიოზი. „კიდევ უარესი მდგომარეობაა იმ გლეხების მიმართ, რომელნიც არა სწორად და იძულებით შექმნილს კოლექტივიზებიდან გავიდნენ. კოლექტივიზებიდან გასულ გლეხების მიმართ ზოგიერთ რაიონებში ადგილი აქვს უხეშად მიდგომის აღმამოფოთებელ ფაქტებს. მათ უმრავლეს შემთხვევაში არ უბრუნებენ განსაზოგადოებულ თესლს და არ აძლევენ თავისი მიწის სამაგიერო ნაკვეთს. არის აგრეთვე „შურისძიების“ და სამაგიეროს გადახდის სხვა მაგალითები, რომელნიც ნათლად ადასტურებენ კოლექტივიზებიდან გასულ გლეხების მიმართ უხეშად და უკანონოდ მოპყრობის შემთხვევებს. „რისთვის გადი კოლექტივიდან, შენ არაფერი გერგება, თუ სიმინდია—ის კოლექტივში უნდა იყოსო“^ა. ასე ახასიათებს ამ სტალინის წერილის მიხედვით განთავისუფლებულ გლეხების შავს ბედს გაზეთი „კომუნისტი“

ყველა ამ საშინელებათა ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა. დაკრითი წესით და იძულებით გლახობის კოლექტიურ მეურნეობაში შერეკვით უდიდესი ზიანი მიაყენეს კომუნისტებმა ჩვენს სოფელს. შემდეგ თითქოს

ამ საპყრობილის კარები გააღეს, მაგრამ ვინც გავიდა, გაყვლეფილი გაუშვეს. მიუხედავად ამისა, ეს კოლმეურნეობები დასტოვა წვერთა ორმა მესამედმა ორად-ორი თვის განმავლობაში. აქედან ადვილად წარმოიდგენს ადამიანი, თუ რამდენი გავიდა, უკეთუ მათ შეტანილ ქონების უკანვე გატანის საშუალება მისცემოდათ.

აი, ასეთია ის ჯოჯოხეთი, რომელშიაც იმყოფება ჩვენი ეროვნული ცხოვრების მთავარი საფუძველი—მშრომელი გლეხობა და სასოფლო მეურნეობა.

მახარაძე იმაზედაც ბევრს მოგვითხრობს, რომ კოლმეურნეობებში დარჩენილთა ბედიც მწარეა. ყველას გამგეობაში ყოფნა სურს და კამანდრობაო, უანგარიშობა და მფლანგველობაა გამეფებული. მაგრამ უმთავრესი სიძნელენი კიდევ წინაა. როგორ გაინაწილებენ კოლმეურნეობის წვერები მოსავალსა. მახარაძე დიდს შიშს გამოსთქვამს ამის შესახებ.

ასეთი მდგომარეობა შექმნა კომუნისტურმა პოლიტიკამ ჩვენს სოფელში. გლეხობის ნაწილი საზოგადოებრივ მეურნეობაში ჩარეკა და იქ მისთვის ჯოჯოხეთი შექმნა და ვინც ამას თავი დააღწია ისინი ხომ ყოველად უფლება აყრილ წრედ გამოაცხადა და განუკითხავი რბევა-აწიოკების საგნად გახადა.

სოფლის ასე დაქცევა მუდმივი სიშმილისა და გაჭირვების წინამორბედიცა. ხოლო მუდმივი კვების ნაკლებობა ნოყიერი ნიადაგია ყოველგვარი სნეულობისათვის. ყოველივე ეს უკვე არსებობს ჩვენს ერში და ერის სნეულებრივ და სულიერ დაკნინებისა და გადაგვარების საქმეს აკეთებს.

აი აქ არის ჩვენი უსაშინელესი ეროვნული კანსადელი...

ა ლ ი.

ავტობიოგრაფიული ღენერლის ასახვებზე

ჩემი წინა წერილის სათაური და მთელი შინაარსი უმთავრესად ამტკიცებდა ბ-ნ კერესელიძეს ყიზილბაშობას და მან თავისი «პასუხებით» მხოლოდ დაადასტურა, ხელი მოაწერა და ახალი მაგალითებიც დაუმატა. მთავარზე სიტყვა ბანზე ავღღო, ფაქტები ვერ უარპყო, წვრილმანებს გამოუდგა (როგორც უფრო ადვილ საქმეს, ეგონა) და სოფლის დედაბერივით ქუჩური და უსაბუთო ლანძღვა დამიწყა, მოედანზე თავისი ნათესავებისა და «ამქრის» გამოყვანით.

აი დამიხედეთ:

1) არა სთქვა თუ საიდან გამოიგონა საპროვოკაციო ჟორი ჩვენს

განზრახვანზედ მთავრობისა და ქართულ ლეგაციის ჩამოსაგდებად **manu militari**.

2) არ გააბათილა: ა) რომ ჩვენთან თანამშრომლობას ეძებდა და გაზეთში კი სრულიად საწინააღმდეგოს სწერდ; ბ) რომ კერძო წერილებში და ბაასში ქება-ხოტბას გვიძღვნიდა და საჯაროდ კი იმავე დროს საწინააღმდეგოს ამტკიცებდა. რომ ლაჩარია მოქმედებით და ტრადახა ენით. და სხვა და სხვა, რაც დამახასიათებელია სწორედ ყიზილბაშობისა და გააგრძელა სიტყვა თავის „ლენერლობაზედ“ და „უანგარობაზედ“, რასაც მე სხვათა შორის შევეხე; და ეხლა კი ცოტა მეტად დამჭირებდა შეჩერება.

3) პირიქით, დაადასტურა: რომ ა) მენშევიკებსა და ეროვნულ დემოკ. „უნდობლობას“ უცხადებდა და იმავე დროს ფულიან დავალებებს იღებდა მათგან; ბ) რომ ვეშაპელსა სცემეს და სხვის გაკეთებულ საქმეს უარობდნენ ლაჩრულად (მ. კედიას პირით) და სხ. და სხ. მხოლოდ ყველა ამ ყიზილბაშურ ამბებს თავისებურადა ხსნის: დაქერილი დამნაშავეს სწორედ ასე იქცევა ხოლმე.

4) თითქმის არ დანანებია ქართული სალანძღო ლექსიკონიდან, არც ერთი ეპიტეტი ჩემთვის და რა საბუთით? გაბაევილი გიყია და ყველას ლანძღავსო, თავის ლიდერსაც კი ცილი დასწამა, და... მე რაღას დამინდობსო.

ზემოაღნიშნული მეთოდი თავის დასვისა ვერაფერი საბუთია, სწორე მოგახსენოთ: მლანძღო და მლანძღო მთელი ნახევარი გაზეთის მანძილზედ, ამ კორიანტელში სირაქლემასავით თავი შერგო და ფიქრობდ, რომ საქმენიც შენნი დაიმალებიან.

ოცდახუთ წელიწადზედ მეტია, რაც მე პოლიტიკურ და სამწერლო სარბიელზედ ვმუშავებ ავად თუ კარგად და ამ ხნის განმავლობაში სულ რამდენჯერმე თუ მიწარმოებია კომპანია ამა თუ იმ პიროვნების ანტიეროვნული მოღვაწეობის წინააღმდეგ და... ვაფრთხილებ ბატონ კერესელიძეს: არასოდეს უსაბუთოდ და, რაც უფრო სავალალოა მისთვის, არასოდეს—უწედეგოდ. ბ-ნი კერესელიძე კი ოთხი წელიწადია სცემს მის ეგრედ წოდებულს გაზეთს და არ გადარჩენია არც კაცი, არც პარტია, რომელიც არ გაეთხუპნოს თავისი წუნკალა ენით მართლაც სრულიად უსაბუთოდ, მარტოოდენ ღვარძლის დასათესად. აბა ვიკითხოთ, ვისთვის არის სასარგებლო მებრძოლ ქართულ ემიგრაციაში ასეთი დემორალიზაციისათვის მუშაობა? და რაც შეეხება „ჩემს ლიდერს“, რომელსაც ასე ესარჩლება დღესა, უცნაურობა იმაშია, რომ მთავარი ბრალდების საგანი მის შესახებ პირველად გვაცნობა... ბ-მა კერესელიძემ. და განა ეს კიდევ ახალი საბუთი არ არის მისი ორმაგი ყიზილბაშობისა? ჯერ თითქო მეგობრულად თვითონვე გაგვაფრთხილა და ახლა მე მიკიენებს: ცილი დასწამაო.

გაბაევილი ლანძღავს ყველასაო, ბრძანებს იგი, მაშინ როდესაც მე

«თეთრი გიორგის» კი არ გამილანძლია არასოდეს, და თითონ კი ქვეყანას არწმუნებს, რომ: მენშევიკური პარტია—რუსეთის (ე. ი მისი ტერმინოლოგიით რომ ვილაპარაკოთ, ძალის ენიანი მტერის) პარტია არის; ს.-რევოლ.—რუსეთის პუგაჩოვის პარტია; ს.-ფედერ.—რუსეთთან ფედერაციის მომხრენი და ეროვნ.-დემოკრატები ხომ რუსულ ნიადაგზედ აღზრდილი და რუსოფილური პარტია არის და არის, მისი ლიდერი (შ. ამირეჯიბი) ნიკ. ნიკ.-თან მიდიოდა, ურატაძეს—(რუსების აგენტს(?) ტაშს უკრავდა და სხვა და სხვა მოჭორილი უმსგავსოებანი.

სხვა პოლიტიკური პარტიები და არც მიმართულებანი არ ყოფილა საქართველოში და არც არის და აი თურმე ყველა ესენი და აგრედვე თავდაზნაურობა და ლენერალიტეტი გადაგვარებული და გარუსებულია (ამაზედ მეტად ქართველი ერის გალანძვლა და შეურაცხყოფა შეუძლებელია) და დარჩა მხოლოდ ერთად-ერთი ჭეშმარიტი ქართველი: კერესელიძე და მისი ვალენტინეს ამქარი. აი ასეთი პროპაგანდა არის თურმე დიდი პატრიოტიზმი: მტერი და მოყვარე დაარწმუნო, რომ საქართველოში ყველა და ყველაფერი რუსული და რუსოფილური იყო და მარტო პარისში გამოჩეკილი და ვალენტინეში კერესელიძეს ფრთის ქვეშ დაბუდებული ბლარტები არიან პატრიოტები. ამაზედ მეტს რას ამბობენ ჩვენი მტერი რუსები: სეპარატიზმი და «კუკურუზნაია რესპუბლიკა» ბოროტების მოგონილია, თორემ ქართველი ერი სულ მთლად ჩვენი ერთგულიაო. ამაზედ მეტს დათვურ სამსახურს თავის სამშობლოს და კერესელიძესებურს—რუსეთს სხვა ვინ გაუწევდა: მარტო მე გებრძვით, რუსებო... ვალენტინეიდან... და... უშვარი ლანძღვით, თორემ დანარჩენი ყველა თქვნი შინა ყმა არისო.. ასეთი შავრაზმული პატრიოტიზმი ღმერთმა ნუ მოუშალს... რუსეთს. იქ დაიბადნენ სწორედ «დეფულავი ორიოლ», «არხანგელ მიხაილ» და «სოიუზ რუსკოვო ნაროდა», რომლის მიზანგვარობით და მეთოდებით «იბრძვის» ბ-ნი კერესელიძე შინ და გარედ (პარალელები უამრავია).

სხვა «იურიდულ» სიბრძნესთან ერთად ბ. კერესელიძეს ორიგინალური «მოწმობა» მოუგონია თავის მართლებისათვის: ჰკითხეთ ჩემს «თანამშრომლებს» (რომელიც ზოგი ამერიკაშია, ზოგი სტამბოლში, ზოგი საქართველოში და ზოგი სად—რ. გ.), ჰკითხეთ ჟორდანის და რამიშვილს და ისინი დაამოწმებენ ჩემ უანგარ აზბას, ლენერლობასა და სხვაო. ასეთი სირბილი ბრალმდებელისა და მკითხველისათვის ძალიან ძნელია და ამიტომ მე ვაძლევ მას უფრო მარტივ წინადადებას: გამომიწვიოს სასამართლოში (ოფიციალური, სამედიატორო-საამხანაგო თუ საჯარო-საზოგადო), სადა მოუყრიდეთ თავს ჩვენს მოწმობა-საბუთებს, თორემ ბ-ნი ჟორდანია და რამიშვილი, თუ თქვენთვის მისაღებნი არიან, იმათ უკვე დამოწმეს წერილობით და ბეჭდვით, რომ თქვენ ბოლშევიკების აგენტი ბრძანდებით.

ამ სასამართლოში გამოვალ მე საბრალმდებლო ოქმით, რომლის ნაწილს ქვევით გავაცნობთ და იქ დავამტკიცებ არა მარტო ყველაფერ

იმას, რაც «ინტეგარალურად» შეუძლებელია კი არის დაიწეროს რამაც თანდათანობით ჩამომიყალიბა თქვენი პიროვნება იმის შემდეგ, რაც ამისთანა ტარას მექონემ—თავის ქერქში დადგომის მაგიერ, თქვენ ქვეყანა ააწყაყეთ. თორემ ჩემი «სიგიჟით» საკუთარი სიბოროტის გამართლება—ჩვეულებრივი იაჟფასიანი ზრიკია, გამოუკლებლივ ყველა ჩემგან ჩაუყრილი არამ ზადასი.

1. «უბრალო პოლკოვნიკი».

იქ დავამტკიცებ ჩემი პირველი წერილის ბრალდებათა უკლებლივ და იმასაც თუ: როგორ ვახდა ბ-ნი კერესელიძე «უბრალო» პოლკოვნიკი და «ავტომატიური» ლენერალი. ბ-მა კერესელიძემ არ იცის ალბად, რომ სწორედ მის მიერ დასახელებულ პირთაგან ვიციით დანამდვილებითი ამბავი მისი «უბრალო პოლკოვნიკობისა»: «გაგვიპირა საქმე პოლკოვნიკობის ხარისხის მოთხოვნით «საქ. გან. კომიტეტში», ვერა ფერმა საწინააღმდეგო საბუთმა ვერ გასჭრა და ლეო დაგვეშუქრა: «თუ არ მომსემთ, მეც წავალ და ლეგიონსაც ჩავშლიო», მაშინ კომიტეტის ერთმა წევრმა სთქვა: «მივსეთ პოლკოვნიკობა, თორემ სულ აგვამყრალეგსო» და... მივეპით, რა გვექნა, უსზოელებთან რომ სკანდალს გადავრჩენილიყავით». აი როგორის შინაურის წესით «გაპოლკოვნიკდა» ბ-ნი კერესელიძე, თორემ ნამდვილი პოლკოვნიკობა ჯერ ერთი არც ისეთი უბრალო საქმეა (ამას სუირია წლობით სამსახური, სამხედრო სტაჟი და სოდნა ან საომარი დამსახურება, ბრძოლებში გამარჯვება და სხ. და სხ.), და შეუძლებელია იყო მიელო, რადგან ნამდვილი უფროსი ამ ლეგიონისა იყო... მხოლოდ კაპიტანი. და ჩვენ ვეკითხებით ბ-ნ კერესელიძეს: სად, ვისგან, როდის და რისათვის მიიღო «უბრალო პოლკოვნიკობა» და რომელი უფროსი სამხედრო დაწესებულების, ან პირის ბრძანებით?

2. «ავტომატიური ლენერალი».

ახლა როგორ ვაღენერალდა: როდესაც ბ-ნი კერესელიძე ჩამობრძანდა განთავისუფლებულ საქართველოში (დამონებულ სამშობლოში ჩამოსვლას ის ალბათ პრინციპიალურად... ვერ ბედავდა 1905 წლიდან, რაც იძულებული იყო გაქსეულიყო) იმ ქვეყნიდან, სასა ასხადებდა თავს როგორც Prince de Kérelé და თეთრი სხენიდან არ ჩამოდიოდა—ერთ საქმეში საჭირო ვახდა რაზმის ვაგზავნა ჩრდილო-კავკასიაში. მან შეადგინა ეს რაზმი (და არა ჯარი), სათავეში ჩაუდგა უფროსად (და არა დაინიშნა «მთავარსარდლად» (sic! ლ.კ.) მე ქვევით ვამბობ თუ რა ვაკეთა ამ «რაზმმა» და ამ «მთავარსარდალმა», მაგრამ მათი ამ სახელით მონათვლა ახირებულ ტერმინოლოგია ვახლავთ ტრახახა ადამიანისა, რომ უფრო ახირებულ სამხედრო კანონს შეეფარდოს, რომლის ძალით ხარისხი—თანამდებობას ეკუთვნოდა. მაგრამ რაკი რაზმის უფროსს ლენერლის ხარისხი მაინც არ მოერგებოდა—ეს რაზმი იქცა «ჯარად» და თითონ კერესელიძე «მთავარსარდლად»... ვაღენტინეში. ამრიგად გაიავტომატილენერალა

თავი ბ-მა კერესელიძემ, თორემ მისი ლენერლად დანიშვნის ბრძანება, ამ «კანონითაც» რასაკვირველია სავალდებულო, არც ერთ სამხედრო უფროსობას აწრადაც არ გაუვლია. ჩვენ გაგვივია ლენერალი ინფანტერიისა, კავალერიისა; არტილერიისა, მაგრამ «ავტომატიური ლენერალი» არ გაგვიგონია.

3. ახალციხის სამკულობა.

ახალციხის ბრძოლებში წინსვლის დროს ბ-მა კერესელიძემ არიერგარდში შეჰქმნა პანიკა, შეთხზა ჭორები—თავს ჯარი დამესხათ, „რა-პორტი“ მიართვა მთავარსარდალს, თვითონ დაფრთხა, ნებით თუ შემთხვევით (?) თავი დაიჭრა (ფეხში) და ამ ერთადერთი ჭრილობით, მრავლად ჭირნახული და ომგადახდილი, გამობრძანდა საზღვარ-გარედ, საცა კვეხულობს თურმე თავისიანებში: 16 ჭრილობა მაქვს და სულ... ზურგშიო. ამავე ახალციხიდან უკან დახევის დროს, ლაჩრულად, დამფრთხალი (თუმცა ნაპოლეონისებურ თეთრი სხენით), გადავარდა გზიდან და კინალამ მტკვარში დაიხრჩო (სხეებმა გადაარჩინეს), რომ გაჭსწრო ყველა-კათვის... აქ უკვე ავანგარდში.† გაქცევით..-

4. ბაქოს ეპოპეია.

როგორც ყველა ავანტიურაში, დარუბანდში გაიგზავნა ბ-ნი კერესელიძე, საცა, უთაობით, ჯამაგირის მიუტემლობით, შიმშილით და სხ. დაფანტა რაზმი, ანარქიულ მდგომარეობაში ჩააგდო (ერთხელ სიკვდილის მუქართაც კი წაართვეს ჯამაგირი), იარაღს ჰყიდდა, თვითონ ქეიფობდა ბაქოში, როცა რაზმი წავიდა დარუბანდში სამარად და სამარსხვინოდ განიარაღებულ იყო... მოკავშირეებისაგან. ყველა ამ სასირსხვო ამბების გამო სხვას სამხედრო-საველე სასამართლო ხედვბოდა წილად და ბ-ნ კერესელიძემ კი ამისათვის მიიღო «ავტომატიური ლენერლობა» და ბედავს ამით კვეხნას.

გარდა ამისა, უანგარ(...იშ!..)ოდ დარჩა ბაქოში, საცა ისევ თეთრ სხენზედ შესკუბდა.

5. სოციალისტებისა და რუსების „მტერი“:

რაც ყველაზედ საინტერესოა, ეს, მუდამ სოციალისტებისა და რუსების წინააღმდეგ მებრძოლი «უბრალი პოლკოვნიკი» და «ავტომატიური ლენერალი» და ნამდვილი ყიზილბაში,—ერთის მხრით, არამტუ არ უარჰყოფს თავის თანამშრომლობას სოციალისტებთან საქართველოში, საცა მათი შეიარაღებული და ბრმა იარაღი იყო (საავანტიუროდ უკეთესი ვერც გამოინახებოდა) და აქ, საზღვარ-გარედაც, მათს ფულიანს დავალებებს იღებდა (მხოლოდ ემდურება: სოტა მომსეს; ჩემი ჯიბიდან და-

ვადეო და გზისა და რესტორან-კაფეს ანგარიშს უდევს; მიკვირს addition-ის კლიშეებსაც არ ბეჭდავს), არამედ მომავალშიაც ამ «რუსის პარტიას», მისგან «ქართველი ერის ნდობის გარეშეს დატოვებულს... ჰპირდება სამსახურს (იხ. მისი უკანასკნ. წერილი «თ. გ.» N 30) ...ოლონდ «ავტომატიური ლენერლობა» აქ დაუმოწმონ და იქ დაუმტკიცონ, ალბად.

და რაც შეეხება თვით რუსებს, როგორა ფიქრობთ, სად იყო ეს უებრო გმირი, რუსების მოძულე პატრიოტი და «პირველი სარდალი პირველი ქართული ჯარისა», როდესაც ჩვენს ეპოქაში (და არა ალექ. სანდრე ბატონიშვილისა) მათთან, როგორც პირდაპირ მტერთან ერთად ერთი ნამდვილი ომი გვექონდა 1921 წელს?

ეს «ავტომატიური ლენერალი», როდესაც საქართველოში კიდი-კიდიმდე სისხლი იღვრებოდა, ტაბახმელას სისხლიანი ისტორია იწერებოდა... გაქცეული იყო ბათომში დეზერტირით და გასაპარავად გეშენდ მიჰქონდა იერიშები; აქ კი ის დაიპირეს და ჩასვეს საქონლის ვაგონში. განათავისუფლეს მხოლოდ ბოლშევიკებმა, ბათომში რომ დაიპირეს და კარგა ხანს მათ დროსაც თეთრ სხენს დააქენებდა... პლაჟზე და იარაღით შემავალი (რას ნიშნავს (?) რეკომში, უპირებდა დაქერას ერთ-ერთ მენ-შევიკურ მინისტრს. და ესლა კი, სამშვიდობოს გამოსული უვნებლად, როგორც ყოველთვის, ბრძოლას უსხადებს რუსებს... ლანძღვით... ვა ლენტინედან.

და რაც ყველაზედ მასხარულ მდგომარეობაში აყენებს ბნ კერესელიძეს, მისი დეზერტირობის ამბების დასამტკიცებლად ჩვენ არ დაგვჭირდა შორს ძებნა მოწმეებისა: ეს ამბავი მრავალჯერ უამბნია სასო-წარკვეთილებით თვითონ მის ნათესავს, თანამშრომელსა და მუდამ თანამგზავრ მოწამეს, რომელსაც თვითონვე გვისახელებს. რაც შემდეგში სავსებით დადასტურდა სხვა წყაროებითაც.

აი ესეთს და სხვა უფრო სამარცხვინო ამბებს დაუმტკიცებ მე სასამართლოში ბნ კერესელიძეს და მიუხედავად ყოველნაირი განაჩენისა, თუნდაც სრული დისკვალიფიკაცია მოხდეს მისი არამც თუ პოლიტიკური, არამედ პიროვნული ღირსებისა, მე მზადა ვარ, ამის შემდეგ (რადგან ბ-ნი კერესელიძე რაღასაც მემუქრება ნართაულად... მოთმინების დაკარგვით) მე მზადა ვარ, სასა ნებავეს, როდესაც ნებავეს და რა იარაღითაცა ნებავეს ანგარიში გავასწოროთ... ვაქცასურის წესით.

და თუ ბ. კერესელიძეს შერჩენია უბრალო და მარტივი პიროვნული ღირსება და პატიოსნება (სარდლისა და თუნდაც სულ მცირე პოლიტიკური ჯგუფის ბელადისათვის სავალდებულო წნეობას ჩვენ მას არ მოვსთხოვთ), ის გზას ვერ აუხვევს და ვერ გაექცევა ამ ჩემს წინადადებას და გამოომიწვევს სასამართლოში და შემდეგ, მხოლოდ შემდეგ... სხვაგან. წინააღმდეგ შემთხვევაში ის მიჩნეული იქნება სასოჯადოების მიერ,

საყოველთაოდ სავალდებულო ზნეობრივი წესების მიხედვით, მოქალაქობრივ და პიროვნულ ღირსება აყრილ ადამიანად.

მანამდე კი მე ვსვობ ყოველგვარ პოლემიკას ისეთ ადამიანთან, რომელსაც ეტიკა chevalier-სი მუდამ თორი cheval-ის უნაგირზე ჰგონია მიკერებული.

რ. გაბაშვილი.

გაუგონარი და აღმამფეთებელი ამბავი.

ჩვენს ქორნალში უკვე იყო გაკვრიტ აღნიშნული ლ. კერესელიძის მიერ ჩადენილი ერთი აღმამფეთებელი ამბავი. რამოდენიმე თვის წინეთ მან და მისმა ამოვლებმა პროვოკაცია მოუწყვეს სამსწევრს ეროვ.-დემოკ. ორგანიზაციისა, ვალენტინეში. ჯერ მათზე თავდასხმა მოახდენია თავის რაზმს და შემდეგ ადგილობრივ ადმინისტრაციასთან დააბეზლა, რის შემდეგ ეს პირები იძულებული იყვენ ვალენტინედან წამოსულიყვენ. ამ სამიოდე კვირის წინეთ ადგილი ჰქონდა კიდევ უფრო აღმამფეთებელს და ქართულს სინამდვილეში გაუგონარს შემთხვევას. ეხლა უკვე ყოველგვარ შეზღ-შემოხლის გარეშე ლ. კერესელიძემ და მისმა დასტამ დააბეზლა კიდევ სამი წევრი ჩვენი ორგანიზაციისა, რომ ისინი საშიში არიან მყუდროებისათვის და «პატრიოტულ ორგანიზაციისათვის დიდს საშიშროებას წარმოადგენენო»... საფრანგეთის მმართველობა, რომელიც ასეთი ყურადღებით ეპყრობა საბუთთა საქართველოში ნაწამებ მებრძოლ ემიგრაციის და აქ მას ასეთს სტუმართ-მოყვარეობას უჩენს, შეცდომაში იქმნა შეყვანილი «ღენერლის და პატრიოტულ ორგანიზაციის ლიდერის» მიერ, ვინაიდგან ღენერლებს და ლიდერებს საფრანგეთში დიდათ საპატიო და საიმედო ხალხათ სთვლიან, ამის შედეგი იყო ამ პირთა საფრანგეთიდან გადასახლების შესახებ დადგენილების გამოტანა, რომელიც გაუქმებულ იქმნა მყისვე, როგორც კი ამ სამარცხვინო ამბის სარჩული გამორიკვა. ამ რიგად ბ. ლ. კეხესელიძე ყოვლად გაუგონარი ზომებით სდევნის საქართველოსათვის მებრძოლ და სამშობლო დაკარგულ წრეებს და ამაში ბოროტად სარგებლობს საფრანგეთის მმართველობის ქართულ ემიგრაციის მწ.რე ბედისადმი თანაგრძნობას და მის წევრთა აზრისადმი ყურადღებას. ეს თან ერთვის ლ. კერესელიძის იმ ბოროტ საქმეს, რომელიც მებრძოლ ქართული ემიგრაციის ზნეობრივ და ფიზიკურ დაქსაქსვასა და დაუძღურებას ემსახურება. ამ სამარცხვინო საქმის საბუთები ხელთა გვაქვს, თორემ უამისოდ მისი დაჯერება მეტად ძნელი იქნებოდა. ამრიგად ლეო კერესელიძის «ინტეგრალური პატრიოტიზმი» უერ-ჯერობით იმაში გამოიხატება, რომ ასეთი ბინძური საშუალებით სდევნის საქართველოს თავისუფლებისათვის საქმით და არა მხოლოდ სიტყვით ბრძოლა გადანახად მამულიშვილებს და მასთან ერთად ის ათახსირებს და ლახავს საფრანგეთის ჩვენდამი სტუმართ-მოყვარეობას. ეს ზნეობრივ

დაცემულობის ყოველივე საზღვარს სწილდება. ის ქართველის სახელ არსვენს და ამცირებს და ამას ბოლო უნდა მოეღოს!

ღია წერილე ბ. ლ. კერესელიძეს.

ბ. ხ.!

თქვენს საპასუხო წერილში რევანზ გაბაშვი ლის მიმართ, თქვენ სხვა-თა შორის სწერთ, რომ თქვენ არ გეშინიათ არივითარ ტყვია წამლები და თოფ-ზარბაზნების. ბატონო ლეო, მე ეს საესებით მჯერა. ამიტომ მე ვგულისხმობ, რომ თქვენ არ გეღინიათ აგრეთვე თქვენ პოლიტიკურ შეხედულებათა იდეურ კრიტიკის, მით უმეტეს, რომ თქვენ ასეთი კრიტიკის სინაკლე უსაყვედურეთ რევანზ გაბაშვილს. ამიტომ მე გთხოვთ დამიბრუნოთ ის წერილები, რომელიც მე მივსწერე «თეთრ გიორგის» დირექტორიას, თქვენ მიერ აღებული პოლიტიკური გეზის გამო. მე მაშინ «თეთრ გიორგას» დირექტორია, კოლეგიალური ორგანიზაცია მეგონა, რომელიც თქვენზე, როგორც მის მთავარ მდივანზე უფრო მალა იდგა, ნამდვილად კი თქვენ ყოფილხართ «თეთრი გიორგის» დირექტორიის უფროსი და დირექტორია კი თქვენი დამხმარე სათაობიო ორგანო. მე მივსწერე თქვენს იდიოლოგიურ გამოსვლების შესახებ სამი წერილი დირექტორიის წევრს «მეგობარს», ამ წერილებზე მე მივიღე ვრცელი პასუხი დირექტორი ს მეორე წევრ გ. ჯ-ლისაგან, ამ პასუხზე მე მივსწერე პასუხი უკანასკნელს, ე. ი. გ. ჯ-ლს, რაზედაც მივიღე გ. ჯ-საგან მეორე პასუხი. მე მინდა გამოვავიქცეო ეს ჩემი წერილები, და ვინაიდან ჩემი წერილები პირდაპირ თეთრზე დაწერილი და მათი ასლი მე არ მაქვს, გთხოვთ ბ. ლეო ეს ჩემი ოთხი წერილი—სამი «მეგობრისათვის» და ერთი გ. ჯ-სადმი უკან გამომიგზავნოთ, თუნდ დროებით და ნება მომცეთ ამ წერილებთან ერთად. გ. ჯ-ლის პასუხი გამოვავიქცეო. მე მსურს მივმართო ე ოვენულო-დემოკრატიულ პარტიის ორგანოს, რათა მან გამომიქვეყნოს მე. ვითარცა უპარტიულს, ეს მასალები, და თუ ორგანომ ამაზედ უარი მითხრა, წერილებს უკან გამოგიგზავნით. მე აღარ მაქვს ახლა სურვილი და არც მოსლა თქვენი პოლიტიკურ გეზის გარჩევისათვის ხელმეორედ შრომის გაწვევისა, მხოლოდ მე არ მინდა, რომ ერთხელ უკვე გაწეული შრომა დაიკარგოს და მე მსურს, რომ იგი გამოადგეს ქართულ პოლიტიკურ მწერლობას, როგორც მასალა და ჩემ მიერ შეტანილი წვლილი ჭეშმარიტების გამოსაჩვენად.

ვლ. ემუხვარი.

სარედაქციო კოლეგია.

Le gérant L. OTTOLINI.

Imp. de Navarre, 5, rue des Gobelins, Paris.

Byham

ფასი 3 ფრანკი.

გამომცემლობა „საქართველო“.